# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 2 ნოემბერი 2002 №209 (1731) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# 30 აპრილს მზე რომ დაბნელდეს?!

უეფამ ფაქსი აფრინა: საქართველო — რუსეთის ჩაშლილი მატჩი, როგორც ფედერაციებმა თავად მოილაპარაკეთ, 30 აპრილს გადაითამაშეთო.

საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ თამაში საქართველოში გაიმართება.

ახლა კი იმაზე მოგახსენებთ, ეს საგანგებო აღნიშვნა რატომ დაგვჭირდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები შანსს არ უშვებდნენ ხელიდან, რომ არ აღენიშნათ, რუსები კი დაჟინებით მოითხოვენ მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვას, მაგრამ ჩვენ მაგრად ვდგავართ და თამაშის უეჭველად ჩვენთან გადათამაშებას მივაღწევთო.

კეთილი და პატიოსანი, რუსთაგან ზოგიერთები მართლაც მოითხოვდნენ ნეიტრალურ მოედანზე თამაშს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ენას ძვალი არ აქვს და ყველაფრის მოთხოვნა შეიძლება, აქ მთავარი ისაა, აღნიშნულ მოთხოვნას რა იურიდიული საფუძველი გააჩნია.

უეფას რეგლამენტში არ წერია, რომ სტადიონზე შუქის ჩაქრობა ან ავტობუსისთვის ნასროლი ერთი ქვა-ორი მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადატანის საფუძველს იძლევა. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მაგრად კი არ იდგა, უბრალოდ, იცოდა, რომ თამაშის სხვაგან ჩატარების საფუძველი არ არსებობდა. ბოლოს და ბოლოს, ქვა რაა, უეფამ მოსკოვში ნორდოსტული აშბებიც კი არ მიიჩნია „სპარტაკ" — „ბაზელის" მატჩის უცხო ქვეყანაში გამართვის საფუძვლად.

ისე, ქართული ფედერაციისთვის მადლობის გადახდა მაინც გვმართებს, ზოგიერთი რუსი ჩინოვნიკის ხუშტურს რომ არ დანებდა, რაც ადრე უკვე გაუკეთებია.

გადათამაშება საქართველოში კი გაიმართება, ოღონდ ქალაქი და საათი ჩვენმა ფედერაციამ უეფას მოგვიანებით უნდა აცნობოს. ფედერალებს მოკრძალებით ვურჩევთ, თამაში მზის სინათლეზე ჩაატარონ, თორემ რა იცი, რა ხდება...

თუ 12 ოქტომბრის ბილეთი რაღაც ბედნიერი შემთხვევითობის გამო სტადიონზე შესვლისთანავე არ გადააგდეთ, შეგიძლიათ, 30 აპრილის ბილეთში გადაცვალოთ, მაგრამ თუ არ გინდათ? ანუ მატჩზე წასვლა გადაიფიქრეთ ან არ გეცლებათ? მაშინ დააბრუნეთ და ფული დაიბრუნეთ, ფედერაციის გენერალური მდივანი ამბობს, პრობლემა არ არის, ფულს მოგცემთ და დაბრუნებულ ბილეთებს თავიდან გავყიდითო, არ გაგვიჭირდებაო. გენერალურმა მდივანმა გვაპატიოს და, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, 12 ოქტომბერს სტადიონზე არ ყოფილა და არ იცის, რომ ბილეთების გაყიდვა სწორედ რომ გაჭირდა მისი სიძვირის გამო.

ამასობაში ფედერაციამ თავისი ახალი წესდების პროექტი მოამზადა. შეგახსენებთ, რომ ახლანდელი წესდება ფიფა-უეფას წესდებას არ შეესაბამება, რაც მხოლოდ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების წინ გაცხადდა ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, მაგრამ ეჭვი მაინც გღრღნის — ნუთუ იქამდე წლების მანძილზე ფედერაციის ხელმძღვანელებს ფიფა-უეფას წესდებები წაკითხული არ ჰქონდათ?

რას გაუგებ...

# წნორული სენსაცია მწვადის სუნივით იყო: მალე გაქრა



დინამო — მილანი 3:1. რატი ალექსიძის ეს გოლი არ ჩაითვალა

„დინამო" — „მილანი" 70-ათასიან „ეროვნულს" ნაღდად შეავსებდა. აბა, რივალდოს, ნესტას, ინძაგის, შევჩენკოს და სხვა ვარსკვლავთა ცოცხლად ნახვას ვინ არ ისურვებდა.

გუშინდელ „დინამო"—„მილანს" კი ოდენ 300 ქომაგი უცქერდა, რატომ, ამის მიხვედრას ტვინის ჭყლეტვა არ სჭირდება — მრავლისმნახველ „ეროვნულს" მართლა „მილანის" მოსახელე წნორელები სტუმრობდნენ და... მე-9 წუთზე დაწინაურდნენ კიდეც. მოკლედ, ამ ჩვენს ცოცხალ-მკვდარ ჩემპიონატში სენსაციის სუნი დატრიალდა, მაგრამ „დინამო" ის გუნდია, სამომავლოდ დიდ „მილანთან" ტოლ-სწორად გაჯიბრებას რომ ეშურება და აბა, წნორულს დააჩაგვრინებდა თავს?! ივო შუშაკის მშენებარე გუნდმა თამაში სათავისოდ შემოატრიალა და ცხრილის კენწეროშიც ყელყელაობს. მეთოთხმეტე ტურის შეხვედრას დღეს გამართავს სამხრეთამერიკულად მომძლავრებული „ლოკომოტივი", ოღონდ ლუის ცაკარიასი თვისტომ პერუელებს, რაფაელ გალიარდოს და დიეგო გონსალესს, სავარაუდოდ, „კოლხეთის" წინააღმდეგ ვერ დაიხმარს. რკინიგზელებს პერუდან მათი სატრანსფერო ფურცლები ჯერ კიდევ არ მიუღიათ. გუშინ კი ცაკარიასმა ჯეელი სამხრეთელები „ეროვნულზე" იახლა „დინამოს" დასაზვერად, აქაოდა, ნახეთ, ვინ გვეცილება ჩემპიონობასო.

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები



გიო ახვლედიანის

სვეტი

# მე ამისგან გავაკეთებ

კახა კალაძემ წლეულს კიდევ უფრო მოუმატა. ასე იტყვიან ხოლმე, მოუმატაო, თორემ სინამდვილეში თამაშის ხარისხზეა ლაპარაკი.

„მილანი" ბრწყინვალედ თამაშობს ორი თვეა, ყველა მისი ფეხბურთელი საუცხოოდ თამაშობს, ჩვენ კი ვხედავთ, რომ კალაძემ უმატა. „მილანში" მხოლოდ თმა არ დაუგრძელებიათ, თითქოს იქ ფეხებიც დაიგრძელეს.

მერამდენე წელიწადია, კალაძე ასეა. თბილისში უკეთესი იყო, ვიდრე სამტრედიაში, კიევში უკეთესი, ვიდრე თბილისში, მილანში კი უკეთესი, ვიდრე კიევში. ისიც ნამდვილია, რომ კალაძე წლეულს უკეთესია „მილანში", ვიდრე შარშან იყო.

რა თქმა უნდა, სასიხარულოა, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელი ასე მიიწევს წინ. კიევშივე კალაძეს დაეტყო, რომ მისგან ნამდვილი ათლეტი გამოიძერწებოდა. ახლა ეს ათლეტი უკვე გამოძერწილია. კალაძეს თანამედროვე ფეხბურთელის შთამბეჭდავი იერი აქვს — ზორბა ტანი, რკინის მხარბეჭი და ბეტონის ფეხები. ახლა ის შეუდარებლად სწრაფი და მოქნილია, ვიდრე ორი წლის წინათ იყო. საერთოდ, მოქნილობას ამგვარი აგებულების ფეხბურთელებს, ვთქვათ, პატრიკ ვიეირას, ვერ მოსთხოვ, უნდა იწვალო და განუვითარო, ასევე სისწრაფეც ვარჯიშის შედეგია.

აქ ყველაფერი სასიხარულოა, დასანანი კი ის არის, რომ ჩვენთან ეგრეც არ იციან კარგი მასალისგან ნამდვილი ფეხბურთელის გამოძერწვა. „მე ამისგან გავაკეთებ!" ჩვენთან არ არსებობს. ჩვენთან არსებობს მხოლოდ ბიჭი, რომელიც ან გაქაჩავს, ან ვერ გაქაჩავს, თორემ ისე, რომ აი, კაპელო აკეთებს კასანოს, ფერგიუსონი აკეთებს ბექემს და ა.შ. ძნელი წარმოსადგენია.

ძველად იცოდნენ, იპოვიდნენ ტალანტს და მერე ათას რამეს შემატებდნენ უკვე დიდების გუნდში მისულს. მერე ეს ამბავი თანდათან გაქრა. რამდენი საოცარი დებიუტი გვინახავს თუნდაც ჩვენს სტადიონზე და მერე ეს უნიჭიერესი დებიუტანტები ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ფეხბურთელებად ქცეულან, არადა, შეეძლოთ, მათთვის უამრავი რამ შეემატებინათ.

კალაძეს კი ემატება და ემატება. ეს კარგი კარიერაა, ისეთი, როცა ყოველი მომდევნო სათამაშო დღე უკეთესია, ვიდრე წინა.

ასეა, როცა სწორ დროს, სწორ ადგილას მოხვდები და ძალიან გინდა, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშო.

# ქართულ-რუსული შეთანხმება უეფაში რატიფიცირებულია

## ჩოლარიამ ზარალი დათვალა — სამასი ათასი ლარი



ვალერი ჩოლარია

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და უეფასგან რეკომენდირებულ, აუცილებლად შესასრულებელ სიახლეებზე გვესაუბრა. ლაპარაკია კლუბების ლიცენზირების, სტატუსისა და სატრანსფერო სისტემის მოწესრიგებასა და ფედერაციის ახალი წესდების მიღებაზე. გარდა ამისა, ვალერი ჩოლარიამ იმ კითხვაზეც გაგვცა პასუხი, რომელიც საქართველო — რუსეთის ჩაშლილი მატჩის შემდეგ ყველას გვაწუხებს: უეფამ დაადგინა, საქართველო — რუსეთი 30 აპრილს საქართველოში გადათამაშდება, თუ რომელ ქალაქში, ეს უკვე ფედერაციის გადასაწყვეტია.

— უეფამ ჩვენგან და რუსებისგან ცალცალკე მიიღო წერილები თხოვნით, რომ ჩაშლილი მატჩი სწორედ თბილისში გადათამაშებულიყო. აი, ფაქსი, უეფამ თარიღი და მასპინძელი დაამტკიცა — 30 აპრილი, საქართველო. მატჩამდე 60 დღით ადრე ჩვენ უნდა შევატყობინოთ, რომელ ქალაქში მივიღებთ სტუმრებს, ერთი თვით ადრე კი უეფას თამაშის დაწყების დროს ვაცნობებთ. მოკლედ, საქართველო — რუსეთის მატჩის გამართვა პრობლემა აღარაა — გვითხრა ვალერი ჩოლარიამ, თუმც პრესკონფერენცია მან ახალ წესდებაზე საუბრით დაიწყო.

— მოგეხსენებათ, აგვისტოს ყრილობამდე უეფამ წესდების შეცვლისკენ მოგვიწოდა და საამისოდ ექვსი თვის ვადა მოგვცა. ახალი წესდების პროექტი უეფას ყველა მოთხოვნის შესაბამისად უკვე მზად არის. ახლა ამ პროექტს რეგიონულ ფედერაციებს და კლუბებს დავუგზავნით მათი შენიშვნების გასათვალისწინებლად. ხარვეზების გამოსარიცხად წესდებას იუსტიციის სამინისტროსაც გავაცნობთ. ყველა რჩევას გულისყურით მოვისმენთ, შესასწორებელს შევასწორებთ და საბოლოო ვარიანტს კვლავ უეფას გავუგზავნით. მერე კი წესდებას ყრილობაზე დავამტკიცებთ, რომელიც უკვე ყოველწლიურად ჩატარდება, თუმც არჩევნები უწინდებურად, ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება.

გავამზადეთ კლუბების ლიცენზირებისთვის აუცილებელი საბუთები. უეფა გაეცნო ამ საბუთებს და შენიშვნები არა აქვს. გვსურს, კლუბებთან კონსულტაციები დეკემბრიდანვე დავიწყოთ. თვეში ორ-ორ გუნდს მოვემსახურებით. მოგეხსენებათ, 2004 წლიდან უეფა ულიცენზიო კლუბებს ევროპაში თამაშს აუკრძალავს. იმ დროისთვის კი ჩვენ მზად ვიქნებით.

სტატუსისა და სატრანსფერო სისტემას როგორც კი თავად ფიფა მოაწესრიგებს და დაალაგებს, ჩვენც მაშინვე მათ კვალს გავყვებით. აქამდე სატრანსფერო სისტემა ფიფაში არ იყო აწყობილი და აბა, ჩვენ როგორ გაგვეკეთებინა? ფიფა ამ საკითხს მალე მოაგვარებს და არც ჩვენ დავაყოვნებთ. ისეთი სატრანსფერო სისტემა გვექნება, როგორიც ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად მოერგება. ფიფაც ამას გვირჩევს.

ახლა ისევ საქართველო — რუსეთზე. ვალერი ჩოლარიას თქმით, ფეხბურთის ფედერაციამ საგამომძიებლო ორგანოებს უკვე აცნობა ზარალის ოდენობა, რაც დაახლოებით 300 ათას ლარს შეადგენს.

— 33 ათასი დოლარი ჯარიმა გვაქვს გადასახდელი თურქულ-ბრიტული „დალმა კორპორეიშენისთვის", რომელიც ამ ჩაშლილი მატჩის ტელეტრანსლაციას გადასცემდა. ამდენივე იქნება გადასახდელი ამ ფირმის ხელმეორედ ჩამოყვანისთვის. თანაც ამ 66 ათას დოლარს დაამატეთ ფირმის ტექნიკური პერსონალის მასპინძლობა. 60 ათასი დოლარით დაგვაჯარიმა საქართველოს ნაკრების თამაშების ტელეუფლებების მფლობელმა „კირშ შპორტმა", თუმც მათ შელავათი გაგვიწიეს და თანხის ნახევარს 30 აპრილის შემდეგ გვთხოვენ. დაახლოებით 50 ათასი დაგვიჯდება რუსეთის ნაკრების საქართველოში ჩამოყვანა მათთვის ჩარტერული რეისის დაქირავება, სასტუმრო, კვება, მოკლედ, მასპინძლობა. ჩვენვე უნდა დავაბინავოთ ოთხი მსაჯი და ორი დელეგატი. დაამატეთ ამ ხარჯებს ქართველი ლეგიონერების გამოძახება და გუნდის შეკრება. აღარაფერს ვამბობ უეფას სანქციებზე. შესაძლოა, დაგვაჯარიმონ, თუმც ვიმედოვნებ, დაგვინდობენ — გვითხრა ვალერი ჩოლარიამ და 12 ოქტომბრის მატჩის ბილეთების გამოყენება-გაცვლის თაობაზე ეს განაცხადა.

— გადაწყდა, მატჩი 30 აპრილს გაიმართება. ვისაც 12 ოქტომბრის მატჩის ბილეთი აქვს, გადათამაშებამდე რამდენიმე დღით ადრე მოვიდეს ფედერაციაში და მიიღებს 30 აპრილის ახალ ბილეთს იმავე ადგილზე, რომელიც 12 ოქტომბერს ჰქონდა. ის კი, ვისაც ბილეთი აქვს და 30 აპრილს თამაშზე დასწრებას არ აპირებს, პრობლემა არ არის, ფულს მიიღებს, იმ ბილეთის გაყიდვა არ გაგვიჭირდება.

**კობა ინასარიძე**

# რას მიქვია პიზარო!

## კბილსამკაული და ბლანჟი

***საკადრო წმენდას** „ლოკომოტივში" ახალი ხალხის მოსვლა მოჰყვა და მათ შორის სამი პერუელიცაა — მთავარი მწვრთნელი ლუის ცაკარიასი და ორი ფეხბურთელი, 26 წლის რაფაელ გალიარდო და 17 წლის ხუან დიეგო გონსალეს მიგელი, შემოკლებით დიეგო გონსალესი.*

*კლუბს ახალი მენეჯერი ჰყავს — **გოჩა თამაზაშვილი**, რომლის შემწეობითაც მოხერხდა სამხრეთამერიკელების ჩამოყვანა.*

*თამაზაშვილს თავისი სამენეჯერო ფირმას აქვს გერმანიაში და იმავდროულად სამწვრთნელო საქმესაც ეუფლება იქ. მას პირველ რიგში ქართულ რკინიგზაზე დამდგარ პერუელ ფეხბურთელებზე დავეკითხეთ.*

— ამ მოთამაშეების აქ ჩამოყვანაზე მოლაპარაკებებს მე ვუძღვებოდი, რეკომენდაცია კი მათ ცაკარიასმა გაუწია. ორივე ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი გახლდათ. რაფაელ გალიარდო გათამაშებულია და „ალიანსა ატლეტიკოში" თამაშობდა. საქართველოში ჩამოსვლამდე გალიარდომ ბოლო მატჩი ისე ჩაატარა იმ გუნდში, რომ ტურის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. „ალიანსა ატლეტიკო" კი ახლა პერუს ჩემპიონატში მეორე ადგილზეა.

**— მეორე პერუელზე რას გვეტყვით?**

— დიეგო გონსალესი 17 წლისაა და უკვე აქვს პერუს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება. ის „დეპორტივო ვანგადან" გადმოვიყვანეთ, შარშან კი „ალიანსა ლიმაში" გამოდიოდა. გონსალესი ძალიან ნიჭიერი ფორვარდია და პერუს 20 წლამდელთა ნაკრების წევრიცაა — სამი წლით უფროსებში თამაშობს.

გონსალესი სტაჟირებაზე იყო მიუნხენის „ბაიერნში", „ლევერკუზენში", მიწვევა ჰქონდა „ვალენსიას" ახალგაზრდულ გუნდში, მაგრამ 18 წლამდე ფეხბურთელების ტრანსფერი ევროკავშირის ქვეყნებში რთულად ხორციელდება. ცაკარიასს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს დიეგოს მამასთან, მის ოჯახთან და, ამ ასაკის ფეხბურთელთან ხელშეკრულებას მშობელმა უნდა მოაწეროს ხელი. ჰოდა, ცაკარისმაც სთხოვა მამამისს, როგორც ფეხბურთელის მეურვეს, საქართველოში გამოეშვა შვილი.



დიეგო გონსალესი



რაფაელ გალიარდო

ორივე ფეხბურთელი აქაური პირობებით კმაყოფილია და ცაკარიასიც დარწმუნებულია, რომ მათი მეშვეობით „ლოკომოტივი" გაძლიერდება.

**— ბარემ ისიც გვითხარით, რატომ შეარჩიეთ „ლოკომოტივის" მწვრთნელად მაინცდამაინც ცაკარიასი?**

— მე სხვა მწვრთნელებთანაც მქონდა საუბარი. გაისად, მარტიდან უმაღლეს მწვრთნელთა სკოლაში ვიწყებ სწავლას გერმანიაში A ლიცენზიისთვის, მანამდე კი სხვადასხვა სემინარებზე მიწევდა ურთიერთობა მწვრთნელებთან. ბატონი ლუისი კი მათგან ერთ-ერთი ავტორიტეტული მწვრთნელი იყო და ისე მოხდა, რომ მასთან განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ალბათ იმიტომაც, რომ ორივენი უცხოელები ვიყავით გერმანიაში.

*ცაკარიასის ლოკომოტიური ვარჯიშები ძირითადად სულ ბურთით მიდის. გუშინაც მოთელვის შემდეგ ფეხბურთელები კარში დარტყმას მიყვნენ, მერე კი ორ ჩახარჭობ ძელზე გაბმული თოკის წყალობით გრეხბოლიც შეუბერეს.*

*ნავარჯიშევს რკინიგზელთა ლეგიონერებს ორ-ორი შეკითხვით მივმართეთ. ჯერ **რაფაელ გალიარდოს** გავესაუბრეთ, რომელსაც კბილსამკაულები ამშვენებს — ძვირფასი მეტალის თავისებური ჩარჩოები კბილებზე.*

**— აქ პირველ რიგში ამიტომ ჩამოხვედით, რომ საქართველოდან ევროპის სხვა ქვეყანაში გააგრძელოთ კარიერა?**

— დიახ, საქართველო უეფას წევრი-ქვეყანაა და აქედან შესაძლებელია, რომ პირდაპირ მოხვდე ევროპაში, პერუდან კი ის ძალიან შორია.

**— მანამდე „ლოკომოტივში" გმართებთ ფეხის მოკიდება და ალბათ კონკურენციის ფაქტორიც შეგექმნებათ...**

— მთავარი ისაა, რომ გუნდში კარგად მიმიღეს, აქაურობას კარგად ვეგუები, დანარჩენის კი არ მეშინია, ყველაფერი ახლა ჩემზეა დამოკიდებული და მეც სათანადოდ ვარ მომზადებული.

*ბლანჟმოშვებული ჯეელი **დიეგო გონსალესიც** დიდი ხნით როდი დავაყოვნეთ.*

**— როგორია პირველი თბილისური და ლოკომოტივური შთაბეჭდილებები?**

— აქაურობა რაღაცით წააგავს პერუს და საერთოდ სამხრეთ ამერიკას. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ვერაფრის ყიდვას ვერ ვახერხებ ენობრივი ბარიერის გამო. გუნდში კი ყველაფერი ნორმალურად მიდის, „ლოკომოტივში" კარგად გვეპყრობიან.

**— თქვენი თაობის პერუელებისთვის ალბათ, ყველაზე დიდი კერპი კლაუდიო პიზაროა, თქვენც ფორვარდი ხართ...**

— რა თქმა უნდა, პიზაროს თამაში მომწონს, მაგრამ მე ჩემი ხელწერა მაქვს, რითაც სახელის შექმნას ვაპირებ. იმედი მაქვს, პიზაროზე ნაკლები ფეხბურთელი არ დავდგები.

**დავით თავართქილაძე**

# ექვსი რა ამბავია?!

## ლოკომოტივი სამქულიანზე გამოიჭირეს

**28 ოქტომბერს** ვიცე-ჩემპიონი „ლოკომოტივი" თერჯოლის სტადიონს მიადგა, იქ დამხვდურ ზესტაფონის „მეტალურგს" ერთი ამოსუნთქვით ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა და თბილისში სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

მას აქეთ ერთი კვირაც არ გასულა და რკინიგზელებს საქმეები ისე აეწყოთ, არ არის გამორიცხული, თერჯოლაში მოპოვებული სამი ქულა სანატრელი გაუხდეთ.

„ლოკომოტივის" სამწვრთნელო შტაბის ძველი შემადგენლობა კლუბის თავკაცებმა დაითხოვეს. ვიდრე ახლები საბოლოოდ დალაგდებიან და ფუნქციებს გაინაწილებენ, რა გასაკვირია, რაღაცაში შეცდნენ. თერჯოლაში რკინიგზელებმა, წესის მიხედვით, თამაშის დაწყებამდე მატჩის ოქმი შეავსეს და ჩვიდმეტკაციან შემადგენლობაში ივარდავა, ბურნაძე, გოგინაშვილი, სოსელია, გიორგი ონიანი და კობახიძეც ჩაწერეს.

ერთი შეხედვით, აქ შეცდომა არაფერია, ექვსივე ზემოთ ჩამოთვლილი ახალგაზრდა ფეხბურთელი რკინიგზული კლუბის საკუთრება გახლავთ. ძირითად გუნდში და ფარმ-კლუბშიც არაერთი მატჩი უთამაშიათ. „ლოკომოტივის" მწვრთნელ ლუის ცაკარიასს და მის თანაშემწეებს ვჭვიც არ შეპარვიათ თავიანთი გადაწყვეტილების სისწორეში. აბა, ცაკარიასს საიდან ეცოდინებოდა, მეთოთხმეტე ეროვნულის რეგლამენტის მეხუთე პარაგრაფის მეთორმეტე ქვეთავში რა წერია. ჰოდა, პრობლემაც აქედან წარმოიშვა. რეგლამენტის 5.12 წესი კი ამას ღაღადებს:

„უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდს უფლება აქვთ, ჩემპიონატის ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანოს სარეზერვო გუნდის არაუმეტეს 5 ფეხბურთელი."

ექვსივე — ივარდავა, ბურნაძე, გოგინაშვილი, სოსელია, გიორგი ონიანი და კობახიძე — სარეზერვო გუნდის განაცხადში არიან შეყვანილნი. ჩემპიონატის დაწყებამდე რკინიგზული კლუბის მესვეურებს ასე გადაუწყვეტიათ.

თერჯოლურ მატჩში მოედანზე ექვსიდან ოთხმა ითამაშა, ორიც სათადარიგო იყო, ესე იგი მეთოთხმეტე ჩემპიონატის რეგლამენტის 5.12 წესი დაირღვა.

ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის გადაწყვეტილებით, „ლოკომოტივის" საქმე სადისციპლინო კომისიას გადაეცა, რომელიც, სავარაუდოდ, 6 ნოემბერს შეიკრიბება.

**მამუკა ქვანტალიანი**

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 14 ტური

თბილისი. 1 ნოემბერი. 15 საათი. შევარდენი. 1 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:1 მერანი

1:0 კობიაშვილი (36), 2:0 ყიფიანი (69), 2:1 კოშკაძე (84)

| ვიტ ჯორჯია | მერანი |
| --- | --- |
| ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, ლ. მურღაშვილი, იანკარეელი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი, დოლიძე, გველესიანი (ვ. გოჩაშვილი 70), ყიფიანი (ბოლქვაძე 80), ადამია (ქოქიაშვილი 88), მელქაძე. სათადარიგონი: მამარდაშვილი, თედორაძე, ბერელიძე, ე. მურღაშვილი. მწვრთნელი: ჯანი კარნევალი | მერანი: გ. გაბელია, ადუაშვილი, გეჯეაძე, დევიძე (ბაჯელიძე 72), მესხი, კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (თუთარაშვილი 76), ი. შენგელია (ბ. ნოზაძე 76), ჭინჭარაული, გ. მ. რევაზიშვილი, ჩილვანიძე. სათადარიგონი: გიორბელიძე, ბარათია, გრიგორიევი, ქადაგიძე. მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

გაფრთხილება: ადამია (60), მესხი (60)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მჭედლიშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მალალურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 14-16; კუთხური: 7-3; კარისკენ დარტყმა: 2-3; კარში დარტყმა: 9-3; თამაშგარე: 1-6

# ვიტალიური მარაო და გაბელიას შეტევა... მსაჯზე





ალექსანდრე მეშკოვს ოთარ გაბელია მოედანზე შეუვარდა და ვინძლო კვლავაც „გისოსებს" მიღმა აღმოჩნდეს



ლევან მელქაძეს (მარცხნივ) არ გაუტანია, მაგრამ „მერანის" კარში ბევრჯერ კი დაარტყა

**კობა ინასარიძე**

**უფულობით** გაჭირვებულ, ლამის დაშლის პირას მისულ „მერანს" გუშინ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის გამწარება შეეძლო, თუმც საამისოდ დრო აღარ ეყო. მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე დარტყმული ჯარიმიდან კოშკაძემ მერლანს მარცხენა დაბალ კუთხეში რომ გაუტანა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მასპინძლები ცოტა არ იყოს, დაიბნენ და ლამის აქამდელი ნაჯაფარი წყალში ჩაეყარათ. თუმც ისიც სათქმელია, რომ სტუმართა სამი ფორვარდი, ისე ვერ აქტიურობდა, ანგარიშის გასათანაბრებლად საკმარისი რომ ყოფილიყო. „მერანი" თუ გოლს გაიტანდა, ისევ და ისევ მასპინძელთა შეცდომის ხარჯზე. მაგალითად, ისე, როგორც კოშკაძის გოლამდე — წუთით ადრე „ვიტ ჯორჯიამ" ზედ საკუთარი საჯარიმოს ხაზზე დაარღვია წესი.

„მერანის" მწვრთნელი ოთარ გაბელია შეგირდებს მოედნის გარშემო შემოვლებული ღობის გარედან ხელმძღვანელობდა, რადგან ის მსაჯების შეურაცხყოფისთვის ოთხმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდიდა და თავის ადგილს მომავალ ტურშიდა დაუბრუნდება, მაგრამ ოთარ გაბელიამ გუშინაც ვერ მოზომა და მატჩის შემდეგ მსაჯ ალექსანდრე მეშკოვს მოედანზე შეუვარდა და მამაპურად გამოლანძღა. შესაძლოა, ყოველივე ამის მერე „მერანის" მწვრთნელს კვლავ გამოუწერონ დისკვალიფიკაცია.

მასპინძლებმა შეხვედრა აგრესიულად დაიწყეს და ამის ხარჯზე უფრო მწვავე მომენტებს ქმნიდნენ. „მერანის" მწვრთნელებმა ვიტელთა გამთამაშებელ ყიფიანს პერსონალურ მეურვედ დევიძე მიუჩინეს, ყველაზე სახიფათო ფორვარდ მელქაძეს კი ჯანმაგარი მცველი ადუაშვილი. შესვენებამდე პრესინგმა გაამართლა, ყიფიანი პასს ვერ აკეთებდა, მელქაძე — დარტყმას. თუმც პირველ ტაიმში ყიფიანმა და მელქაძემ ერთხელ მაინც იყოჩაღეს, მათ გათამაშებულ კედელს ბურთის საჯარიმოში ჩაწოლება და ადამიას თავური მოჰყვა. „მერანი" მეკარე გაბელიამ იხსნა. 36-ე წუთზე კი უყურადღებობისთვის გაბელია კობიაშვილმა დასაჯა და ლამის ცენტრიდან გაუტანა. მასპინძელთა მცველმა, ცენტრის ხაზს სამი-ოთხი ნაბიჯით რომ გადასცდა, ბურთი მკვრდით გაისწორა, წინგამოსული მეკარე შენიშნა და ისეთი აბრაგანი დაურტყა, გაბელიას მოგერიების შანსიც არ დაუტოვა.

შესვენების შემდეგ „მერანმა", სხვა რა გზა იყო, შეუტია. სტუმრები ერთიორჯერ სახიფათოდაც მიუახლოვდნენ მერლანის კარს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. სამაგიეროდ, ხელ-ფეხი გაეხსნათ ყიფიანსა და მელქაძეს, რომლებმაც დააწიოკეს კიდეც „მერანის" დაცვა. გაბელიამ რამდენჯერაც შეძლო, იმდენჯერ გადაარჩინა თავისიანები. 69-ე წუთზე კი „ვიტ ჯორჯიამ" ლამაზი, რაგბის ენაზე რომ ვთქვათ, მარაო გაშალა და ყიფიანი მეკარესთან პირისპირ ისე დარჩა, ხელისშემშლელი არავინ გამოჩნდა. ყიფიანის ახლოდან დარტყმულს, ცხადია, გაბელია ვერაფერს მოუხერხებდა. მერე „ვიტ ჯორჯიამ" კიდევ რამდენიმე მომენტი შექმნა. მაგრამ ხან ვიტელები სცოდავდნენ, ხანაც სტუმრები ყოჩაღობდნენ. 84-ე წუთზე კოშკაძის გატანილი გოლი ზემოთაც ვახსენეთ და ისიც ვთქვით, ბოლოს მასპინძელთა მცველები რომ აიჭრნენ და მერანელებმა ვერ იხეირეს. ისე „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელ ჯანი კარნევალის 70-ე წუთზე გაკეთებულმა შეცვლამაც იმოქმედა მასპინძელთა დაცვის არეულობაზე. მწვრთნელმა მარცხენა მცველი მოხსნა, გოჩაშვილს მარჯვენა ჰავბეკად თამაში დაავალა. ნოზაძე საყრდენ ნახევარმცველად შუაში შეწია. დაცვას ერთი ფეხბურთელი მოაკლდა, „მერანმა" კი თავდასხმა გააძლიერა და ამიტომაც იყო, სტუმრებს ქულის შანსი რომ გაუჩნდათ.

# მჯობნის მჯობნი ჯობაძე გორიდან

რუსთავი. 1 ნოემბერი. 15 საათი. ფოლადი. 1 500 (ტევადობა 10 000)

## გორდა 0:1 დილა

0:1 ჯობაძე (28)

| გორდა | დილა |
| --- | --- |
| გორდა: ჩლაიძე, არსოშვილი, ა. ბურნაძე, ბერიძე, პაპაშვილი (ზაზაშვილი 69), პ. ალადაშვილი, ზვ. ლაბაძე, სილაგაძე, თავბერიძე (ჩობელი 46), ჯელაძე (ლ. ალადაშვილი 68), სოხაძე. სათადარიგონი: ბუდიაშვილი, ბუკია, შიოშვილი, მიქავა. მწვრთნელი: გია გეგუჩაძე | დილა: თ. ილურიძე, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, საყვარელიძე (გ. ზ. რევაზიშვილი 54), ფეხუაშვილი, სულთანიშვილი (რაზმაძე 71), ხორგუაშვილი, ჯობაძე (ბ. ჩიტაია 86), ლ. გოჩაშვილი, ძოძუაშვილი. სათადარიგონი: მაისურაძე, ოლეგაშვილი, სოჩიაშვილი. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: ჯობაძე (34), ჩლაიძე (55)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. შალამბერიძე (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ჯარიმა: 23-22; კუთხური: 10-1; კარისკენ დარტყმა: 8-3; კარში დარტყმა: 6-3; თამაშგარე: 3-4

**გიორგი ვაშაკიძე რუსთავიდან**

**ბათუმში** სენსაციური მოგება ეტყობა, ვერ შეიფერეს რუსთაველებმა და გუშინ ასევე სენსაციურად წააგეს.

თავდაღებით მოთამაშე გორის „დილა" და მეკარე თამაზ ილურიძე გადაულახავი ზღუდე აღმოჩნდა მასპინძელთათვის. ჭკვიანურად იცავდნენ თავს ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდები, წინ კი ეული თავდამსხმელი მერაბ ძოძუაშვილი ბევრ თავსატეხს უჩენდა „გორდას".

პირველი ხიფათიც გორელებისა იყო. მე-8 წუთზე საბა სულთანიშვილი დარჩა პირისპირ ჩლაიძესთან, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ აშკარად გასატანი ვერ გაიტანა, გამოცდილი სანდრო ბურნაძე უმალ დაეწია „მომხვდურს" და ხიფათიც განმუხტა.

მასპინძლები კი აწვებოდნენ მეტოქეს, მაგრამ ამაოდ. ნახევარი საათის ამოწურვამდე ორი წუთით ადრე ჯობაძემ გაახარა ხაჩიძე და „დილა" — ოცდახუთიოდ მეტრიდან დარტყმული ჯარიმა ჩინებულად შემოატარა ცოცხალ კედელს, თემურ ჩლაიძეს ისედაც დაგვიანებული ნახტომი გააცუდებინა და ბურთიც ლამაზად შეფრინდა კარის ცხრიანში — 0:1.

ეს იყო და „გორდაც" გამოცოცხლდა, თუმც ღირებული ბევრი ვერაფერი შექმნა და შესვენებაზეც თავჩაქინდრული გავიდა.

მეორე ნახევარში მასპინძელთა თავკაცმა გია გეგუჩაძემ თავბერიძე ჩოხელით შეცვალა, დათოც ენერგიულად ჩაერთო თამაშში, მაგრამ რა, „გორდა" რაღაც ზანტად თამაშობდა, იყო არაერთი წუნი, განსაკუთრებით ბოლო პასი არ უვარგოდათ რუსთაველ ფეხბურთელებს.

55-ე წუთზე არბიტრ შილაკაძეს მასპინძელთა მეკარე თემურ ჩლაიძე რომ გაეძევებინა, ალბათ, არც არავინ დაძრახავდა — მან მერაბ ძოძუაშვილი საჯარიმოს გარეთ წააქცია, თანაც ბურთი ხელით გააჩერა. შილაკაძემ მეკარეს ყვითელი აუნთო. ნამატჩევს სათადარიგო მსაჯმა ავთო შალამბერიძემ გვითხრა, ჩლაიძე გასაძევებელი არ იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ძოძუაშვილს იქვე მცველი აედევნა, მას გოლი ველარ გაჰქონდა, ეს ბოლო იმედის ჯარიმა არ იყოო.

ამ ამბიდან ზუსტად ათ წუთში გორელმა ლომიძემ მოიწადინა გოლის გატანა, როცა კარიდან წინ გამოსული მეკარე დალანდა და მოედნის საკუთარი ნახევრიდან ბურთი დაურტყა — ჩლაიძემ უკან დაბრუნება მოასწრო.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, „გორდა" კი უშედეგოდ უტევდა. 81-ეზე მასპინძელმა სოხაძემ ურეალურესი შანსი ქარს გაატანა — ილურიძეს ათიოდ მეტრიდან უძლიერესად დაურტყა, მეკარემ იყოჩაღა და ტყვიასავით გასრიალებული სასწაულებრივად აიღო ისე, რომ ბურთი ხელიდანაც არ გავარდნია.

ბოლო წუთებში კი უფრო სტუმრებს უნდა ეხეირათ, მიუხედავად იმისა, რომ „გორდა" მთელი გუნდით „დილას" საჯარიმოში იყო დასახლებული. ორი კონტრშეტევა და ორჯერვე მერაბ ძოძუაშვილი დარჩა ჩლაიძესთან პირისპირ, მაგრამ თუ პირველად მეკარესაც გასცდა და ცარიელ კარში სამიზნე ვერ გაისწორა, მეორედ ჩლაიძემ არ დაანება გატანა.

ერთი სიტყვით, „გორდამ" წააგო, მდგომარეობაც გაირთულა და სტუმარიც სამი ქულით ხელდამშვენებული გაისტუმრა. ზვალ კი 3 საათზე „ფოლადზე" ამხანაგური მატჩია, რუსთაველებს სასპარინგოდ ბაქოს „ნეფთჩი" ეწვევა.

ქუთაისი. 1 ნოემბერი. 15 საათი. ტორპედო. 1 500 (ტევადობა 19 500)

## ტორპედო 2:1 ბათუმი

1:0 დიდავა (30), 1:1 მოდებაძე (75), 2:1 გამეზარდაშვილი (83)

| ტორპედო | ბათუმი |
| --- | --- |
| ტორპედო: სტურუა, ლ. ქელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე (ჩიქტიანი 87), ბეჟიტიანი (ზვ. ქუთათელაძე 51), დიდავა, ქემოკლიძე, კვიტინაძე (გამეზარდაშვილი 76), ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, ასათიანი. სათადარიგონი: ჭანტურია, ქელიშვილი, ლალაძე, შ. ონიანი. მწვრთნელი: ალექსანდრე შტელინი | ბათუმი: ტოგონიძე, მინდაძე, არჩვაძე, კობიძე, მაჭუტაძე, ხუჯაძე, ქაცარავა, თურმანიძე, სულეითელაძე (დარჩიძე 57), ტულუში, გ. მოდებაძე. სათადარიგონი: ა. ბალაძე, ცინარიძე, ბეჟანიძე, ნემსაძე, იალამიძე, მახარაძე. მწვრთნელი: ასლან ბალაძე |

გაფრთხილება: კობიძე (53), ჩიქტიანი (90)

მსაჯები: მ. მაისურაძე, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ასკარიანი (ქარელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჯარიმა: 20-17; კუთხური: 7-2; კარისკენ დარტყმა: 3-2; კარში დარტყმა: 6-3; თამაშგარე: 2-2

# შუშაკს მილანმა რეალი გაახსენა

**კახა შალამბერიძე**

**ბახსოვთ, ალბათ,** რა ბრძოლა გადახდა პირველ წრეში თბილისის „დინამოს" გურჯაანში „მილანთან". ღედაქალაქელებმა მასპინძლები მხოლოდ ბოლო წუთზედა გატეხეს ირაკლი სამხარაძის გოლით.

„მილანმა" გუშინაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონობაზე დაგეშილ „დინამოს". კახელები ძალიან მჭიდროდ ეთამაშებოდნენ მასპინძლებს და მატჩის დასაწყისშივე ბევრი თავსატეხიც გაუჩინეს. მე-9 წუთზე კი სულაც სენსაციის სუნი დატრიალეს — ქარჩავას საჯარიმოდან ძლიერად დარტყმული ბურთი გზად ლაშა ეგაძემ შეაჩერა და კარშიც მშვიდად გაგზავნა.

გოლმა მილანელებს ფრთები შეასხა, თუმც „დინამომ" მალე ტემპს უმატა და სტუმართა დაცვაც თანდათან გაწელა. ალექსანდრე არევაძის შეგირდებს სულ უფრო უჭირდათ ბურდულის და დარასელიას შეჩერება.

ტაიმის შუაწელს „მილანმა" მშრალად მიატანა და თითქოს მეტოქის შეტევებიც ჩააცხრო, თუმც მიხეილ ბობოხიძემ მაინც გაათანაბრა — საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და მეკარის წინ მფრინავ ბურთს საგოლედ მოუქნია თავი — 1:1.

სტუმრები არ დაბნეულან და ჯიგრიანად გააგრძელეს თამაში. პირველ ტაიმში კახელთაგან განსაკუთრებით მარჯვენაფლანგელ გიორგი ქარჩავას გამოვარჩევთ, რომელმაც გვარიანად გაწვალა კვირკველია. მისი დახმარებით „მილანი" თბილისელთა საჯარიმოს მისადგომებსაც გაუშინაურდა, თუმც მალე „დინამომ" უსწრაფესი კონტრშეტევით დასაჯა. კვირკველია-ბურდული-დარასელიას სამსვლიანი კომბინაცია მეორე გოლით დასრულდა.

მეორე ნახევარი კი დინამოელთა სრული უპირატესობით აღინიშნა. ივო შუშაკის შეგირდებმა უფრო მწვავედ შეუტიეს მეტოქეს და ბლომად სახიფათო მომენტებიც შექმნეს. 72-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა რატი ალექსიძემ გაიტანა ულამაზესი გოლი, თუმც მსაჯმა ხელით თამაშისთვის დააჯარიმა და ყვითელი ბარათიც აუფრიალა.

„დინამომ" მაინც შეძლო მესამის გატანა. ამ გოლშიც ლომის წილი სწორედ ალექსიძემ დაიდო. მისი გონივრული პასით ვიტალი დარასელიამ იხეირა.

***ალექსანდრე არევაძე, „მილანის" მწვრთნელი:*** „ვულოცავ „დინამოს" გამარჯვებას. ბიჭებს რაც ვუთხარი, თითქმის ყველაფერი გააკეთეს. უბრალოდ, „დინამო" ნამდვილად ძლიერია და მეტი ვერ შევძელით. პირველ წრეში უფრო კარგად ვეთამაშეთ თბილისელებს. მაშინ ფრეს ალალად ვიმსახურებდით. ბიჭებს ის თამაშიც შევახსენე და ვუთხარი, რომ „დინამოსთან" წარმატებაზე ფიქრი შეიძლება. ასე რომ, მოედანზე შიშით სულაც არ გავსულვართ".

***ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:*** „პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს გულშემატკივრებს. თამაშს ვაგებდით, მაგრამ ისინი ბოლომდე დაგვიდგნენ გვერდით და გაგვამხნევეს. ამან ჩვენზე ძალიან დადებითად იმოქმედა. ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. კარგია, რომ გაშვებული ბურთის შემდეგ ბიჭებმა თამაში შეატრიალეს. კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ „დინამოს" პირველი გოლის ფაქტორი არ აშინებს.

ლადო ახალაიას არყოფნა გუნდს ისევ ეტყობა. იმედი მაქვს, ის მალე შემოგვიერთდება. აუტსაიდერებთან თამაში ლიდერებს სხვა უფრო ძლიერ ჩემპიონატებშიც უჭირთ. მარტო მადრიდის „რეალის" მაგალითი რად ღირს, რომელმაც ბოლო ტურებში ვერა და ვერ მოიგო.

მიხარია, რომ ალექსიძე ჩვენს გუნდშია. იმედი მაქვს, ის ძალიან დიდ სარგებლობას მოგვიტანს".

თბილისი. 1 ნოემბერი. 15 საათი. ბოლიკი. 300 (ტევადობა 70 900)

## დინამო 3:1 მილანი

0:1 ეგაძე (9), 1:1 ბობოხიძე (24), 2:1, 3:1 დარასელია (39, 87)

| | |
|---|---|
| **დინამო:** ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ანისულაშვილი, კვირკველია (ა. სახვაძე 53), კარლოსი, გოგიბერიძშვილი, კანდელაკი, ბურდული, დარასელია, მ. ბობოხიძე (ალექსიძე 65) სათადარიგონი: გვარამაძე, ხიზანეიშვილი, მაზიაშვილი, ი. სამხარაძე, გ. ვ. მიქაძე **მწვრთნელი:** ივო შუშაკი | **მილანი:** ზამბახიძე, ეკიდევიშვილი, ჯაბუა, აკობია, მ. სამხარაძე, მეტონიძე, ქარჩავა, ჯაფარიძე (ქაღაიშვილი 77), ვართაგავა (შელეგია 82), ეგაძე, ვარამაშვილი (ლეკენაძე 41) სათადარიგონი: ასლანიძე, დანელია, ტარუღაშვილი, ლამბაშიძე **მწვრთნელი:** ალექსანდრე არევაძე |

**გაფრთხილება:** ეგაძე (12), ალექსიძე (72)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირღავა (გულრიფში); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**ჯარიმა:** 20-11; კუთხური: 14-3; კარისკენ დარტყმა: 4-2; კარში დარტყმა: 7-4; თამაშგარე: 1-0



ზურაბ მამალაძესთან პირისპირ შეყრილ ვიტალი დარასელიას გატანა არ გასჭირვებია

# ცანგალა და გოდორა

## ეს გუნდი კარგად თამაშობს, ინტერტოტოზე გავა?

ბოლნისი. 1 ნოემბერი. 15 საათი. თამარ სტეფანია. 1 200 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:0 მეტალურგი

1:0 შავგულიძე (10)

| | |
|---|---|
| **სიონი:** ბათიაშვილი, სიდამონიძე, ირემაშვილი, ზ. ცხოვრიშვილი, გ. წიაიძე, დოუშვილი, ბაქრაძე, გაბისკირია (გოგიტაძე 89), შავგულიძე, გოდერძიშვილი (ვერესქრი 80), ისაანი (გიორგი ქორიძე 65) სათადარიგონი: ვოლკოვი, კრავეიშვილი, ხუჭუა **მწვრთნელი:** თეიმურ მახარაძე | **მეტალურგი:** ა. ლაბაძე, ორმოცაძე, ნიშნიანიძე (ტუმბურიძე 85), ფოფხაძე, გურეშიძე, ცხვედაძე, სულაკაძე, სუხიაშვილი, მაღლაკელიძე, ჩაჩუა, თავბერიძე სათადარიგონი: მერკვილიშვილი, შელიძე, გოგაძე **მწვრთნელი:** ზაურ ჩუბინიძე |

**მსაჯები:** ა. ორდენიძე (ონი); ლ. სილაგაძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

**ჯარიმა:** 14-6; კუთხური: 7-4; კარისკენ დარტყმა: 8-6; კარში დარტყმა: 12-4; თამაშგარე: 8-3

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**ბოლნისელთა** საამსეზონო მიზანი გაცხადდა, „სიონს" ინტერტოტოს თასზე თამაში აქვს გულში ამოჭრილი და ღლევანდელ სატურნირო ვითარებას თუ გადავავლებთ თვალს, ამ სურვილს არარეალური სულაც არ ეთქმის.

გუნდი ქართულ ფეხბურთში ჭიამოჭრილი ვეტერანებითაა დაკომპლექტებული და რაც მთავარია, ამათ გვერდით რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს. მაგალითისთვის ლევან შავგულიძეც კმარა — „დინამოს" სათადარიგოთა სკამზე ნახევარმცველი, რომელიც მატჩიდან მატჩამდე უმატებს და გუშინდელ შეხვედრაში დალვინებული ფეხბურთელივით გაისარჯა. შავგულიძემ მართლაც ლომის წილი დაიდო თავისიანთა გამარჯვებაში და მატჩის ერთადერთი გოლიც ალალად დაიმსახურა.

„სიონმა" დებიუტშივე გაიტანა, საჯარიმოდან გაბისკირიას დაგორებულს ლევანმა მოხდენილად დაჰკრა ბურთს ოციოდე მეტრიდან. იმ წუთში, ალბათ, თვით ზესტაფონელთა რიგებშიც არ მოიძებნებოდა ისეთი, ვინც მასპინძელთა იოლ გამარჯვებას არ იწინასწარმეტყველებდა. „სიონმა" გოლამდეც არაერთი მომენტი შექმნა, თუნდაც ისიანის გაცუდებული დარტყმა რად ღირს, მოედნის ცენტრში გარჯილი გაბისკირიას ოსტატურ პასს რომ მოაყოლა. თუმც, სადებიუტო შთაბეჭდილება მალევე გაქრა, რადგან უსახური, თითქმის ყველასგან მიტოვებულმა და ძირითადი შემადგენლობის ოთხკაცნაკლულმა „მეტალურგმა" დიდი ბრძოლა გაუმართა მასპინძლებს, ისეთი, რომ ეჭვქვეშ დააყენა წინასამატჩო პროგნოზი „სიონის" უპირობო გამარჯვებაზე.

შავგულიძის გოლმა დათვური სამსახური გაუწია მასპინძლებს, მოდუნდნენ ბოლნისელები და უილაჯოდ გააგრძელეს ბურთაობა. ზესტაფონელებმა, დასაკარგი არაფერი რომ არ ჰქონდათ, სწრაფად აუღეს ალღო მეტოქის უგერგილობას და რამდენიმე ისეთი კონტრშეტევა გამოაცხვეს, რომ არა ბათიაშვილი და ხარიხა ანგარიში შეიცვლებოდა.

ბათიაშვილმა თითოჯერ ენდელაძეს და თავბერიძეს არ დაანება გატანა, 38-ე წუთზე კი, მაღლაკელიძემ ისეთი გაისროლა, მეკარეც ვერაფერს გახდებოდა ხარიხას რომ არ ეხსნა მასპინძლები.

შექმნილ ვითარებას ყველაზე ადრე აუღეს ალღო ალამ და „სიონის" ერთგულმა ფანებმა — ქომაგებმა „ცანგალა და გოგონა" დასძახეს და ამან პირველს დავით გოდერძიშვილს შეუნთო ცეცხლი. „გოდორამ" თავზე ხელი აიღო, ისე მოინდომა. მალე მას შავგულიძემაც აუბა მხარი, დახვეწილი, ზუსტი მოქმედებით და ისევ გაუჭირდათ სტუმრებს.

გოდერძიშვილის და შავგულიძის დამსახურება იყო სამეორეტაიმო სამი მომენტი, მაგრამ მეკარე ლაბაძის ოსტატობამ იხსნა „მეტალურგი". გოდერძიშვილმა ჯერ სამი მეურვის მოტყუების შემდეგ მეკარეს შეატოვა შავგულიძე — ლაბაძემ ჩანაფიქრი გამოუცნო სიონელს. ამ მომენტიდან ორი წუთიც არ იყო გასული, ბაქრაძის კუთხურისას შავგულიძის თავურს კარის ხაზზე რომ მიუსწრეს მცველებმა. მერე კი ისევ გოდერძიშვილმა გაისროლა 15 მეტრიდან და კვლავაც ლაბაძემ იხსნა თავისიანები. გოლს თუ არ ჩავთვლით, ამ ბიჭმა მართლაც შეუცდომლად ითამაშა გუშინ.

82-ე წუთზე გაბისკირიასაც უნდა გაეტანა — მას ორ მცველს შორის ჩაჭედილმა შავგულიძემ ეფექტურად შეაყოლა ბურთი საჯარიმოში, მაგრამ გამოცდილ გაბისკირიასაც გაუმკლავდა ლაბაძე.

ბოლო აკორდიც მასპინძლებისა იყო, შეცვლაზე შესულმა გიორგი ქორიძემ კარიდან წინ გამოსულ მეკარეს კი გადაატარა ბურთი, მაგრამ მიზანს აცდა. „სიონმა" დამსახურებულად მოიგო, „მეტალურგს" კი პატრონ-მყვარებელი თუ გამოუჩნდა, საპირველლიგო პირს არ დაიტყობს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 12 | 1 | 0 | 37:3 | 37 |
| ტორპედო | 14 | 10 | 2 | 2 | 29:10 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 10 | 1 | 3 | 23:9 | 31 |
| ლოკომოტივი | 12 | 8 | 1 | 3 | 22:7 | 25 |
| სიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 19:17 | 23 |
| კოლხეთი | 13 | 5 | 2 | 6 | 13:19 | 17 |
| მეტალურგი | 14 | 4 | 1 | 9 | 7:28 | 13 |
| დილა | 14 | 3 | 3 | 8 | 8:19 | 12 |
| მერანი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:27 | 12 |
| მილანი | 14 | 3 | 3 | 8 | 8:23 | 12 |
| გორდა | 14 | 3 | 0 | 11 | 9:24 | 9 |
| ბათუმი | 14 | 1 | 5 | 8 | 8:18 | 8 |

**პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება. მეექვსე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3**

# იმერეთში პრეზიდენტი ჩამოაგდეს

**ოთხი თვის** წინ იყო, იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამ ხელახალი ვადით ქუთაისელი იურისტი გურამ ფილიპაშვილი რომ გააპრეზიდენტა. ფილიპაშვილს არჩევნებში სერიოზული კონკურენტი ჰყავდა ქუთაისში სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე ნამუშევარი დავით ფრუიძის სახით, რომელიც თავის დროზე ქალაქის სპორტკომიტეტს და ფეხბურთის ფედერაციასაც ხელმძღვანელობდა. ყრილობის დელეგატთა შორის ფილიპაშვილს მეტი მომხრე ჰყავდა. ამბობენ, გადამწყვეტი „ტორპედოს" ვეტერან ფეხბურთელთა ხმები აღმოჩნდაო, ამათ ძველ პრეზიდენტს გამოუცხადეს ნდობა.

ფილიპაშვილი სახელდახელოდ ჩამოყალიბებულ რეგიონულ ფედერაციას 1998 წლიდან თავკაცობდა, პრეზიდენტობა, ფაქტობრივად, ავტომატურად ერგო, როდესაც იგი ქუთაისის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარეობა. ნახსენებ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კი ფილიპაშვილმა რფფ-ის სავარძელში ჯდომა ოთხი წლით გაიხანგრძლივა, თუმცა...

გუშინწინ მოწვეულმა იმერეთის რფფ-ის საგანგებო კონფერენციამ დამსწრე დელეგატთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით სრული უნდობლობა გამოუცხადა გურამ ფილიპაშვილს და პრეზიდენტის თანამდებობიდან გადააყენა (უფრო ადრე, 8 ოქტომბერს, რფფ-ის რიგგარეშე სხდომამ ფილიპაშვილს უფლებამოსილება შეუჩერა და მისი მოვალეობის შესრულება დროებით აღმასკომის წევრს, იმერეთის ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარეს გარი სორდიას დააკისრა). გადაწყვეტილება გურამ ფილიპაშვილის ბოლოდროინდელი საქმიანობის განხილვის შემდეგ მიიღეს — იგი თანამდებობრივი მოვალეობის არადამაკმაყოფილებლად შესრულებაში, ფედერაციის საფინანსო დისციპლინის უხეშ დარღვევებში დაადანაშაულეს.

რიგგარეშე კონფერენციამ ახალი პრეზიდენტის არჩევნებიც გამართა, დელეგატებმა აქაც ერთსულოვნება გამოიჩინეს. იმერეთის რფფ-ის პრეზიდენტად გარი სორდია აირჩიეს.

კონფერენციის მუშაობაში სფფ-ის ჩინოსნებიც იღებდნენ მონაწილეობას. ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე ევგენი მეტრეველი და ფეხბურთის განვითარების და საკლუბო შეჯიბრებების კომიტეტის უფროსი ინსპექტორი ბადრი ქარქაშაძე.

გურამ ფილიპაშვილს, რომელიც არც რიგგარეშე აღმასკომის სხდომას და არც საგანგებო კონფერენციას დასწრებია, ტელეფონით დავუკავშირდით და მომხდარის კომენტარი ვთხოვეთ:

— რაც გააკეთეს, ეს არის არაკანონიერი ქმედება, მეტიც, უსინდისობა. ვიცი, ვისი შეკვეთით მოხდა ყველაფერი. ვინც ჩემს კაცობას და ავტორიტეტს შეეხება, არაფერს შევარჩენ. სულაც არ მაინტერესებს, ვინ და როგორ შეკრიბეს ან რა დაარქვეს ამ თავყრილობას. ნამდვილ აღმასკომს მე მოვიწვევ და სათქმელს პირდაპირ ვიტყვი. ყველამ ძალიან კარგად იცის, რატომ აღმოჩნდა იმერეთის ფედერაცია ფინანსურ კრიზისში, რატომ ვერ დავფარეთ მსაჯ-ინსპექტორების დავალიანება. შექმნილ პირობებში მუშაობას ისედაც შეუძლებლად მივიჩნევდი, მაგრამ ცივილურად მოქცეულიყვნენ. ჯერჯერობით სხვას ვერაფერს გეტყვით.

არ ვიცით, რას მოიმოქმედებს გურამ ფილიპაშვილი, ერთი კი უნდა ითქვას: ამბობენ, სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნებისას გურამ ფილიპაშვილის სიმპათიები მერაბ ჟორდანიას კონკურენტის დავით პეტრიაშვილისკენ იხრებოდა და ამიტომაც აღმოჩნდა ასეთ დღეში. ეს ამბავი სიმართლისგან შორს არ უნდა იყოს. იმერეთის რფფ-ის ხომ სწორედ ყრილობის შემდეგ ჩამოერთვა რეგიონული გათამაშების დასავლეთ ზონის ჩატარების უფლება. წინა ჩემპიონატში ჩაღენილი ცოდვებიც რატომღაც ახლა გაახსენდათ მავანთ.

**იუზა ქავთარაძე ქუთაისიდან**

# უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP

## მეორე ეტაპი. პირველი მატჩები

შტურმი (ავსტრია) 1:0 ლევსკი (ბულგარეთი)
1:0 საბიჩი (19)
შტურმი: ვებერი, ნოიკირხნერი, რობასი (დაგი 72), შტრაფნერი, ბრეჟნკი, გოლემბიეფ, ვეტლი, საბიჩი, დ. მუჯირი (მაილიხი 60), ბოსნარი, ამოა (მულდერი 87)
მწვრთნელი: ფრანკო ფოდა
გაძევება: ვიეირა (86, ლევსკი)
მსაჯი: კარელ ვიდლაკი (ჩეხეთი)
15 000 მაყურებელი

ბოავიშტა (პორტუგალია) 2:1 ანართოსისი (კვიპროსი)
1:0 ელპიდიუ სილვა (30), 2:0 ედერი (49), 2:1 მიხალსკი (83)
ანართოსისი: პანაიოტუ, ფუკარისი, პუნასი (ჩაილი 78), ველისი (პარმაკისი 90), მიხალსკი, ნეოფიტუ, ძიგაია, ბრუნსვიკი, სტილიანიდისი, ხრისტო, კონსტასი
მწვრთნელი: ედუარდ ლორენსი
მსაჯი: ატილა ჰანაშკი (უნგრეთი)
3 000 მაყურებელი

მალაგა (ესპანეთი) 2:1 ამიკა (პოლონეთი)
0:1 კროლი (1), 1:1 რომერო (39), 2:1 დელი ვალდესი (68)
ამიკა: შამოტულსკი, სკშიპეკი, გესიორი, ზიენჩუკი, დემბინსკი, მ. ჟიძია, დავიდოვსკი, კუხარსკი, ბაგორი, კროლი, ბურხარდტი (სავალა 89)
მწვრთნელი: მიროსლავ იაბლონსკი
მსაჯი: დან-ალექსანდრუ ტუდორი (რუმინეთი)
18 000 მაყურებელი

აპოელი (კვიპროსი) 0:1 ჰერტა (გერმანია)
0:1 კარვანი (90)

დინამო (ხორვატია) 0:3 ფულემი (ინგლისი)
0:1 ბოა მორტე (36), 0:2 მარლე (60), 0:3 შეილსი (78)
გაძევება: პოლოვანეცი (32, დინამო)

სპარტა (ჩეხეთი) 1:0 დენიზლისპორი (თურქეთი)
1:0 იაროშიკი (20)

ფერენცვაროში (უნგრეთი) 0:0 შტუტგარტი (გერმანია)

ნაციონალი (რუმინეთი) 0:2 პსჟ (საფრანგეთი)
0:1 ლ. ლეროა (6), 0:2 ლუიზი (69)
გაძევება ჟ. ლეროა (64, პსჟ)

ფენერბაჰჩე (თურქეთი) 1:1 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
0:1 ბასინასი (15), 1:1 ვაშინგტონი (43)

პარტიზანი (იუგოსლავია) 3:1 სლავია (ჩეხეთი)
1:0 ლაზოვიჩი (5), 2:0 ს. ილიჩი (32), 2:1 შ. დოშეკალეკი (57), 3:1 ჟუკიჩი (69)

პაოკ (საბერძნეთი) 2:1 გრასჰოპერი (შვეიცარია)
1:0 ხასიოტისი (4), 2:0 იასუმაკისი (48), 2:1 ნუნიესი (65პ)

აუსტრია (ავსტრია) 0:1 პორტუ (პორტუგალია)
0:1 დერლეი სილვა (70)

ვიტესი (ჰოლანდია) 2:1 ვერდერი (გერმანია)
1:0 ამოა (37), 1:1 ვერლაატი (43), 2:1 ვერლაატი (62ა.გ)

ლაციო (იტალია) 1:0 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
1:0 ფიორე (10)

ანდერლეხტი (ბელგია) 3:1 მიდტიულანდი (დანია)
1:0, 2:0 იესტროვიჩი (55, 60პ), 3:0 დინდანე (71), 3:1 კრისტენსენი (90)

იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) 1:0 ლიბერეცი (ჩეხეთი)
1:0 დ. ბენტი (69)

ალავესი (ესპანეთი) 1:1 ბეშიქთაში (თურქეთი)
0:1 კარმონა (31ა.გ), 1:1 აბელარდო (90)

ლიდსი (ინგლისი) 1:0 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)
1:0 კიუელი (82)

პარმა (იტალია) 2:1 ვისლა (პოლონეთი)
1:0 დონატი (26), 1:1 ჟურავსკი (46), 2:1 მუტუ (74)

სელტიკი (შოტლანდია) 1:0 ბლექბერნი (ინგლისი)
1:0 ლარსონი (85)

სელტა (ესპანეთი) 3:0 ვიკინგი (ნორვეგია)
1:0 ხოსე იგნასიო (35), 2:0 ედუ (37), 3:0 მაკარტი (77)

ქიშპოვი (ჩეხეთი) 0:1 ბეტისი (ესპანეთი)
0:1 დენილსონი (44)

ლეგია (პოლონეთი) 2:3 შალკე (გერმანია)
0:1, 0:2 ტ. ვარელა (49, 53), 1:2 დ. დუდეკი (57), 2:2 სვიტლიცა (63პ), 2:3 სანდი (89)

იურგორდენი (შვედეთი) 0:1 ბორდო (საფრანგეთი)
0:1 დუგარი (63)



ვიტესი — ვერდერი. მასპინძელმა რაჰამათ მუსტაფამ ფაფარი გაშალა და პოლ სტალტერის გაექცა

REUTERS

# ჩახშტება მრგვალ...

# ჩახშტება მრბოკვერცხში

**თურქ** და ბერძენ ჰალსტუხიანებს ძალიან ეწადათ ერთმანეთთან ჩახუტება. საამისოდ ყველაფერი ილონეს. „პანათინაიკოსს" ყვავილებითაც დაუხვდნენ, მეგობრობაზეც იჭუკჭუკეს, ბაგე-კბილებიდან სულ ია-ვარდს ღვრიდნენ, მაგრამ...

სტუმარ-მასპინძელთა დელეგაციამ სტადიონის სარბენ ბილიკებზე გასეირნება გადაწყვიტა და გაისეირნეს კიდეც. „პანათინაიკოსის" გიემაჟ ქომაგებს რომ მიუახლოვდნენ, ტრიბუნიდან ამოსაცნობი მფრინავი ობიექტების რისხვა დაატყდათ. ისროდნენ ყველაფერს: ბოთლებს, კვერცხებს, აგლეჯილ სკამებს. ბერძენ ფანს მოშიშვლებულ ტანზე ეწერა: NO 2008, ანუ ევროპის ჩემპიონატის ერთობლივად გამართვა არ გაბედოთო.

თურქთა გახელება კი მაშინ დაიწყო, როცა ანგელოს ბასინასმა რუშთუს საჯარიმოს გარედან გაუტანა. თურქები „ფენერბაჰჩესგან" მხოლოდ მოგებას ითხოვდნენ, გუნდი კი მარცხის წინაშე დადგა. კიდევ კარგი, პირველი ტაიმის მიწურულს რაპაიჩმა ვაშინგტონი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და ბრაზილიელმაც ნიკოპოლიდისს შანსი არ დაუტოვა.

მასპინძელთაგან განსაკუთრებით არიელ ორტეგა გამოირჩეოდა, თუმც მეტოქის მცველები სულ ფეხზე ასხდნენ. არგენტინელზე ხშირად ჯარიმდებოდნენ, მაგრამ იტალიელი მსაჯი პასკუალე რადომონტი ყვითელი ბარათის საქმეში გარევას არ ჩქარობდა. ამან ისე გააცოფა ორტეგა, რომ რადომონტის მცირე ლექციაც კი წაუკითხა.

მეორე ნახევარში, რა გასაკვირია, „ფენერბაჰჩე" მოსაგებად დაიქოქა. უფრო მატჩის მილეულს დადგა გოლის სუნი „პანათინაიკოსის" კართან. სერპათს და თუნჯაის ნიკოპოლიდისთან პირისპირ შეხვედრამაც მოუწიათ, მაგრამ ბერძენმა ორჯერვე იმარჯვა.

„ფენერის" ფანობა ნამატჩევს ვერნერ ლორანტის მოშორებას ითხოვდა, გერმანელმა მწვრთნელმა კი მშვიდად ისაუბრა, ფრე ფეხბურთელებს გადააბრალა, ასპროცენტიანი მომენტები გვქონდა და რომ ვერ გამოიყენეს, რა ჩემი ბრალიაო.

იტალიელ მსაჯს კი ნაღვაწი დაუწუნეს, ფათიჰის გოლი უნდა ჩაგეთვალაო. თურქების აზრით, ნიკოპოლიდისმა ბურთი უკვე კარს შიგნით მოიხელთა.

არანაკლები ემოციებით იყო გაძეძგილი „სელტიკ პარკი". გლაზგოს „რეინჯერსის" ყოფილი მოთამაშე გრემ სუნესი „სელტიკს" „ბლექბერნის" მწვრთნელის რანგში ეწვია. ეწვია და აუწვა კიდეც კუდები დამხვდურებს. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ინგლისელები თვალსაჩინოდ ბურთაობდნენ. ფრესაც, თუ მოგებას არა, იმსახურებდნენ, მაგრამ მოულოდნელი ჰენრიკ ლარსონი ხომ არავის გაახარებს. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ალან ტომპსონის პასს პართსონმა თავური დაჰკრა. მისი დარტყმული სტუმარმა დევიდ ტომპსონმა მოიგერია, თუმცა ჰენრიკ ლარსონმა ყველას დაასწრო და გვიანი გოლით ქომაგნი გაახარა.

გოლის ავტორი ლაღობდა და, რაღა თქმა უნდა, კმაყოფილებასაც არ მალავდა: „პირველი ტაიმი „ბლექბერნის" იყო და ძალიან გაგვიჭირდა. შესვენების შემდეგ ნათამაშები ფეხბურთით კი პირადად მე კმაყოფილი ვარ. მეტოქემ მაღალი კლასის ფეხბურთი გვიჩვენა. დარწმუნებული ვარ, ინგლისში მძიმე ბრძოლა გველის."

გრემ სუნესიც არ ჰგავდა ნირწამხდარ კაცს: „ფეხბურთში ყოველთვის ვერ მიიღებ იმას, რაც დაიმსახურე და გეკუთვნის. ჩვენ უკეთ გავისარჯეთ და წავაგეთ. პრემიერლიგაში მუდმივად ასე რომ ვითამაშოთ, ლიდერთა მარაქაშიც გავერევით."

მალაგაში მატჩი მასპინძლებისთვის მოულოდნელად დაიწყო. რუმინელ მსაჯ ალექსანდრ ტუდორს ჩასტვენა არ დაემთავრებინა, რომ სტუმარმა კროლმა ესპანელთა მეკარე უსაქმოდ დატოვა. თითქმის მთელი ტაიმი დასჭირდა „მალაგას" „ამიცას" გასატეხად. პოლონელთა კარის ბადე კი პირველად რომეროს დარტყმის შემდეგ შეირხა.

მეორე ნახევარში სტუმრები გულხელდაკრეფილნი არ მსხდარან და საკმაოდ მწვავე კონტრშეტევებით აწუხებდნენ მეტოქეს. მაგრამ ისევ მასპინძლებმა იხეირეს, გადამწყვეტი გოლი მოუხელთებელმა ხულიო დელი ვალდესმა შეაგდო — მუსამპასგან პასი მიიღო, მცველებმა ბურთის დამუშავებისა და შებრუნების საშუალება მისცეს, ფორვარდმაც დაბალი, ზუსტი დარტყმით შამოტულსკი დაამწუხრა — ასე წააგო მამია ჯიქიას გუნდმა.

90 წუთი იბურთავა თემურ ქეცბაიამ „ანართოსისის" შემადგენლობაში „ბოავიშტას" წინააღმდეგ. პორტუგალიელები მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში სილვამ დააწინაურა.

მეორე ტაიმში ედერმა მალევე გაზარდა ანგარიში და მასპინძლებმა თავი სამშვიდობოს დაიგულეს. მერე „ანორთოსისიც" გამოცოცხლდა და მეტოქის კარის მისადგომები მოსინჯა. დასრულებას შვიდი წუთი უკლდა, როცა მიხალსკიმ ერთი საპასუხო მიართვა „ბოავიშტას", რითაც თავისიანებს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შეუნარჩუნა.

თელ ავივის „ჰაპოელის" შარშანდელი შემადგენლობის მთავარი ბიჭები ამ წელსაც კარგად გამოიყურებიან. „ლიდსმა" მხოლოდ ბოლო წუთებზე, ჰარი კიუელის გოლით შეძლო ებრაული გუნდის ძლევა. მანამდე უამრავი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ინგლისელებს ხან ძელ-ხარიხა ეხირებოდათ, ხანაც მეკარე შავით ელიმელეხი ყოჩაღობდა. მიუხედავად მარცხისა, „ჰაპოელს" ერთბურთიანი სხვაობა იმედის ნაპერწკალს უტოვებს. სტუმართა მწვრთნელმა დრორ კაშტანმა დარდიანად აღნიშნა, ვაი, რომ ისრაელში შექმნილი ვითარების გამო „ლიდსს" ფლორენციაში ვუმასპინძლებთო: „ცხადია, შინ თამაში უკეთესი იქნებოდა, რადგან უამრავი გულშემატკივრის მხარდაჭერა ბევრს ნიშნავს. აქაც მცირე ქომაგი გვყავდა და ფლორენციაშიც იგივე იქნება. საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა, ლიდსელებმა მადლობა უთხრან თავის მეკარეს, რომელმაც არაერთხელ გადაარჩინა თითქოს გარდაუვალ გოლს."

ტერი ვენებლზი, „ლიდსის" მენეჯერი: „დღეს უიღბლობამ დაგვრია ხელი. მარტო სამჯერ ძელმა არ დაგვანება გატანა. გამარჯვებას ვიმსახურებდით და მოვიგეთ კიდეც. მართალია, მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით, მაგრამ უგოლო ფრეს ნამდვილად სჯობს."

დავით მუჯირის „შტურმა" საბიჩის ადრეული, კინკილა გოლით მოუგო ბულგარულ „ლევსკის". სტუმართა შემადგენლობაში პატრიკ ვიეირას მოგვარე კაცი მატჩის მიწურულს შეცვლაზე შევიდა და იმდენი კი მოახერხა, რომ ჩეხ მსაჯ კარელ ვიდლაკს ოთხ წუთში წითელი ბარათი დასტყუა. ლონდონის „არსენალის" ძვალთამტვრეველის გვარში პატრიკის „საქმის" „ღირსეული" გამგრძელებელი გამოჩნდა.

თბილისიდან ნაცნობ „ლიბერეცს", ინგლისშიც კარგად უბურთავია, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მაგრამ საბოლოოდ ისეთივე ანგარიშით დამარცხდა, როგორითაც „დინამოს" მოუგო.

**გაგა ხუციშვილი**



ბოავიშტა — ანართოსისი. თემურ ქეცბაიას გუნდს პირველი გოლი ელპიდიუ სილვამ გაუტანა

REUTERS

სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან.
ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია
Zeus ზევსი
Billjardai
ტიტანი მასტერი
Master
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2



# ქალის უბეში დანახული კანი

*ისევ და ისევ ოლივერ კანი, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და მის გარშემო აგორებული სკანდალი.*

*სულ ერთი კვირაც არ იყო გასული, რაც კანი და გერმანელი ჟურნალისტები შერიგდნენ, რის თაობაზეც უკვე ვწერდით და აი, ორშაბათიდან კანის კრიტიკის ახალი ტალღა აგორდა. მსოფლიოს საუკეთესო მეკარე აქამდეც ხშირად ულანძღიათ, მაგრამ მისი პროფესიონალიზმის ეჭვქვეშ დაყენება აქამდე არავის მოსვლია აზრად. ახლა კი...*

ვანო ოქროპირიძე

ბერლინიდან



**ყველაფერი** გასულ შაბათს მოხდა. მაშინ, როცა „ბაიერნი" ბუნდესლიგის მორიგ ტურში „ჰანოვერს" ეთამაშებოდა, ოლი კანი მშობლიურ კარლსრუეს მახლობლად მილიონერთა დაბა თუ ქალაქ ბადენ-ბადენში, კაზინოებისა და გოლფის მოედნების სიმრავლით მთელ ევროპაში რომაა ცნობილი, სწორედ გოლფის ყვანჯს იქნევდა.

ამ ამბამდე სამი დღით ადრე კანი ჩემპიონთა ლიგის მატჩში, იტალიურ „მილანთან" დაშავდა, მეკარეს მარჯვენა ფეხის მუხლისთავთან მყესი გაუწყდა და ამის გამო ორდღიან ბიულეტენზე გავიდა. ბიულეტენი იმასია, რომ ავადმყოფი სახლში იჯდეს და თავს მიხედოს.

კანს კი ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა, გოლფის თამაშისას მუხლს ისე ხრიდა, გეგონება, არაფერიც არ სჭირსო, აღნიშნავენ ჟურნალისტები, რომლებმაც გოლფის მოთამაშე კანი რომ დაინახეს, მაშინვე ექიმებთან გაიქცნენ და ჰკითხეს, მყესის გაწყვეტიდან სამ დღეში გოლფის თამაში რამდენად მიზანშეწონილიაო. პასუხიც ისეთი მიიღეს, უკეთესს ვერც ინატრებდნენ: „მე ჩემს პაციენტს ამას არავითარ შემთხვევაში არ ვურჩევდი, ამან შეიძლება ტრავმა გაუმიზეზოს" — ასეთი იყო ჰამბურგის კლინიკის ქირურგის, პროფესორ ული მანის კომენტარი.



„ბილდმა" ეს ამბავი რომ გამოიქვეყნლია, ოლივერს გაზეთის ფურცლებიდან ორი კითხვა დაუსვა.

პირველი: ჰერ კან, რატომ არ ბრძანდებოდა „ბაიერნის" კაპიტანი შაბათს მიუნხენში სტადიონზე, თქვენი, როგორც კაპიტნის იქ ყოფნა ხომ გუნდს გაამხნევებდა?

„გეთანხმებით, რომ ოლი მთლად კარგად ვერ მოიქცა, მაგრამ მოდით, იმაზეც ვიფიქროთ, რომ ისიც ადამიანია და ხანდახან დასვენება და განტვირთვა სჭირდება" — დაიცვა შეგირდი ბუნდესნაკრების თავკაცმა რუდი ფიოლერმა. „ბაიერნის" ჯერაც მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა კი განაცხადა, გამიხარდა, ოლის თუნდაც ორი დღით დასვენების საშუალება რომ მიეცა და იმ ორ დღესაც ნუ ჩაუშწარებთო.

გაზეთმა კი აღნიშნა, კანი უბრალოდ არაპროფესიონალურად მოიქცაო.

„ბილდის" მეორე კითხვა კი ამგვარია: ჰერ კან, მართალია, რომ გოლფის თამაშის წინა ღამე დისკოთეკაზე გაათენეთ?

პაპარაცთა მახვილ თვალს კარლსრუეს ყველაზე პრესტიჟულ დისკოთეკა „ჩერვოში" ძმასთან, 36 წლის აქსელთან ერთად შესული მეკარე არ გამოჰპარვია. ძმები იქ დილის ექვსის ნახევრამდე დარჩენილან. გამოძინების მერე ოლის ჯერ გოლფი უთამაშია, მერე მშობლებთან ერთად რესტორანში უვახშმია. 22 საათზე კი ძმასთან ერთად ისევ ბადენ-ბადენის ღამის კლუბებისთვის მიუშურებია. გოლფის თამაშის მერე, მისთვის გოლფ-კლუბის რამდენიმე სტუმარს ავტოგრაფი უთხოვია, მაგრამ ცივი უარი მიუღიათ, მე აქ ხელმოწერების დასარიგებლად არ მოვსულვარ, მაგისთვის კლუბის ბაზაზე მომაკითხეთო.

აგორებული სკანდალის ჩასაწყნარებლად კლუბის ხელმძღვანელობამ მეკარის დასჯა გადაწყვიტა და ოფიციალური განცხადებაც გააკეთა. ოტმარ ჰიცფელდმა თქვა: „გოლფის თამაშში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ, მე გუნდის ექიმებს ვესაუბრე და მათ ამიხსნეს, რომ გოლფის თამაშისას ფეხი ძალიან არ იტვირთება, ასე რომ კანს შეეძლო ეთამაშა. აი, გოლფსა და დისკოთეკას შორის კი ძალიან დიდი განსხვავებაა და მაგის გამო ფეხბურთელს მკაცრად დავსჯით. როგორ დიდ ხელფასსაც იღებს, ისეთივე დიდ ჯარიმას გადაიხდის. თუმცა მთავარი ეს არაა, მთავარია, რომ ჩვენ მას ვესაუბრეთ, ოლის ესმის თავისი შეცდომა. ასე რომ, პრობლემა მოგვარებულია."

მოგვიანებით, კონკრეტული თანხაც ითქვა: კანს თავისი წლიური 5-მილიონიანი ხელფასიდან 50 ათასი ევრო დაექვითა.

მედიამ ახლა ჰიცფელდი გააკრიტიკა — როგორც ჩანს, დრო შეიცვალა, როცა 1998 წელს თხილამურებით მოსრიალე ტრავმირებული ლოთარ მათეუსი სარეკლამო რგოლში გადაიღეს, ჰიცფელდმა იგი 10 ათასი მარკით დასაჯა. ერთი წლის მერე, ღამის 12 საათზე ღრეობისთვის მარიო ბასლერი, რომელიც იმ დროს ასევე ტრავმირებული იყო, გუნდიდან გაუშვეს. მაშინ ჰიცფელდმა ბასლერის გაგდება ამგვარად ახსნა, სარეაბილიტაციო პერიოდი, დასვენებას როდი ნიშნავს, უბრალოდ არ ვარჯიშობ, თორემ რეჟიმი ისევე უნდა დაიცვა, როგორც შეკრებისასო.

ერთი სიტყვით, ჰიცფელდი ერთი და იგივე დანაშაულისთვის ზოგს მკაცრად სჯის, ზოგს არაო.

სამი წლის წინ ნათქვამი ეს სიტყვები, ჰიცფელდს ახლა გაახსენეს, თუმცა მწვრთნელს ამაზე არაფერი უპასუხია, ან კი რა უნდა ეპასუხა?

სამაგიეროდ, ლოთარ მათეუსმა მოალო პირი: „ჩემი პირადი გამოცდილებით გეტყვით, რომ მთლიანობაში გუნდისთვის ძალიან ცუდია, როცა მწვრთნელი ვინმეს სხვაზე წინ აყენებს. მერე რა, რომ იგი კაპიტანი, ან საუკეთესო ფეხბურთელია. ერთი და იგივე საქციელზე, ერთს რომ დასჯი და მეორეს არა, ეს მხოლოდ ცუდ შედეგს მოიტანს. დარწმუნებული ვარ, „ბაიერნში" ფეხბურთელები საკმაოზე მეტს საუბრობენ ზურგს-უკან ამ საკითხზე. მწვრთნელმა შეგირდებს საამისო მიზეზი არ უნდა მისცეს."

თითქოს ეს არ ეყოფოდაო, კანს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა. კარლსრუეს პოლიციას გასულ უქმეებზე მავანმა 21 წლის სტუდენტმა გოგომ მიაკითხა და საჩივარი შეიტანა.

საჩივარში ეწერა: „შაბათს გამთენიისას, დაახლოებით 5 საათისთვის, დისკოთეკა „ჩერვოში" ვცეკვავდი. იქვე იყვნენ ოლივერ და აქსელ კანები. ცეკვის დროს აქსელ კანი მომიახლოვდა, დეკოლტე მაისურა გამომიწია და მკერდში ჩამხედა, მერე ამას არ დასჯერდა, შიგნით ხელიც ჩამიყო და მომიფათურა."

თავად მეკარეს არაფერი ემუქრება. შეურაცხყოფილმა ქალბატონმა, ხელმეორედ მიცემულ ჩვენებაში გარკვევით აღნიშნა, ოლივერ კანთან არაფერი მაქვს საპრეტენზიო, მასთან არანაირი შეხება არ მქონიაო, ამიტომაც კარლსრუეს პოლიციამ დაინტერესებულ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფეხბურთელს ამ საქმესთან დაკავშირებით არაფერი ემუქრება. უკიდურეს შემთხვევაში, ის შეიძლება ჩვენების მისაცემად გამოიძახონ.

თუმცა კანს, ცხადია, ძმის ბედი აღელვებს და თავის სახელსაც უფრთხილდება, ამიტომაც თავისი იურისტები ჩართო საქმეში. იურისტების თქმით, ყველაფერი ნათელია: დისკო-კლუბში არაფერი მომხდარა, უბრალოდ მავანთ კანებისთვის ჩირქის მოცხება და ორიოდე გროშის დაცინცვლა სურთ.

ჯერჯერობით, საქმე ისე მიდის, რომ აქსელ კანს ან ჯარიმის გადახდა მოუწევს, ანაც 5 წელი ვირის აბანოში ჩააყუდებენ. გარდა ამისა, თუ დანაშაული დაუმტკიცდა, მორალური შეურაცხყოფისთვის, იმ გოგოსთვისაც გვარიანი თანხის გადახდა მოუწევს.

თავად ოლივერმა ამასთან დაკავშირებით კომენტარისგან თავი შეიკავა, მისმა წარმომადგენელმა ლუდვიგ კარსტენსმა კი განაცხადა: „ჩვენი ადვოკატები დაამტკიცებენ, რომ აქსელი არაფერ შუაშია. ამავე დროს ვაპირებთ საჩივარი შევიტანოთ იმ სტუდენტის წინააღმდეგ. ჩვენ მას ცილისწამებისთვის დავსჯით. აქსელი და ოლივერი შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს."



თავად აქსელი ამბობს: „მე და ოლის ძალიან მშვიდი საღამო გვქონდა. მე არავინ შემირაცხყვია. ჯერ ერთი, მეგობარი ქალი და 11 თვის ბიჭი მყავს, მეორეც, სალაბუცო ასაკიც გამივიდა."

დისკოთეკას და იქ მომხდარს თავი ვანებოთ და კანის ტრავმას დავუბრუნდეთ. როგორც ცნობილი გახდა, სარეაბილიტაციო პერიოდმა წარმატებით ჩაიარა და მეკარეს ხვალვე შეუძლია კარში ჩადგომა. ორი დღის წინ, ოლის რომ ჰკითხეს, როდის გიხილავთ მინდორზეო, ირონიულად მიუგო — ტრავმა მოვიშუშე, უკვე ჯანმრთელი ვარ, ამიტომ კვირასვე შემიძლია ბრემენში თამაში, მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიო, კვირას გოლფში ხომ არ მაქვს ტურნირიო.

ხუთშაბათს „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში კანმა უფრო სერიოზულად ისაუბრა:

— ჟურნალისტები სენსაციების მაძებარი და მოყვარული ხალხი ხართ. თქვენ რა გგონიათ, რომ სხვა დროს არ ვყოფილვარ დისკოთეკაზე ან გასართობად? მაგას არც მომავალში მოვიშლი, პაპი კი არა ვარ, წმინდა ცხოვრებით ვიცხოვრო. იმ დღევანდელზე კი გეთანხმებით, შეიძლება მთლად ზუსტი დრო ვერ შევარჩიე გასართობად, მაგრამ ჩემი ცხოვრება და კარიერა ისეთია, ძნელია ეგეთი დროის გამონახვა. დიდი ამბავი, დისკოთეკაზე თუ ვიყავი, მე ხომ ეს მინდორზე დაბრუნებამდე ცხრა დღით ადრე გავაკეთე?! რაც შეეხება გოლფს, გეტყვით, რომ მყესის გაწყვეტიდან ოთხ-ხუთ დღეში ჩვეულებრივი აქტიური ცხოვრება უკვე შეიძლება. გოლფის თამაში მირჩიეს კიდეც. იმ ბრალდებაზე რომ გოლფი „ბაიერნი" — „ჰანოვერის" შეხვედრას დავამთხვიე, გიპასუხებთ, ეს საგანგებოდ გავაკეთე, რადგან სახლში რომ დავმჯდარიყავი და ტელეტექსტისთვის მეყურებინა, გავგიჟდებოდი. ვიცი, რამდენსაც ლაპარაკობენ ჩემზე. ამ ქვეყნად ბევრი შურიანი ადამიანია. მე წარმატებული სპორტსმენი ვარ. ჩემი საქმით ძალიან ბევრ ფულს ვშოულობ, შემიძლია სარეკლამო კონტრაქტების გაფორმებაც და სხვა დამატებითი შემოსავლის ქონაც, ამიტომაც, ბევრი ამის გამო გულზე სკდება და მზადაა, პატარა შანსის მიცემისთანავე ჩირქი მომცხოს. ძალიან ცუდია, რომ ჩემპიონთა ლიგას დავემშვიდობეთ, მაგრამ არა უშავს, ბოლო დროს ჩვენს გარშემო ისეთი ამბები იყო, ღამეები აღარ გვეძინა, ახლა კი ცოტა მაინც ამოვისუნთქებთ და კალაპოტშიც ჩავდგებით.





# ქმარს კარს ნუ გაუღებთ!
## შეიძლება საყვარელი მოჰყვეს




მელისა კორტმა კარლს კარი გაუღო და კისერიც წაიტეხა

**ზოგადად** მექალთანეობის ამბავი არავის უკვირს, მაგრამ რიგითი გელფრენდის გულისთვის კაცმა ცოლი, თუნდაც ყოფილი, საავადმყოფოს გზას გაუყენოს, ვერ არის კარგი საქმე, ასეთი ამბავი კი ნიუკასლელ კარლ კორტს გადახდა თავს.

კორტი „ნიუკასლში" 2000 წლის ივლისში ჩაირიცხა, იქამდე კი „უიმბლდონში" თამაშობდა.

კლუბთან ერთად კორტმა ცხოვრების მეგზურიც გამოიცვალა და ორწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ცოლს გასცილდა. ახლახან კი მან თანაგუნდელ კირონ დაიერისგან ბინა შეიძინა ქალაქის ცენტრში და მყუდრო საცხოვრებელი მოიწყო.

გაგიკვირდებათ და, სახლის მოწყობასა და დალაგებაში კორტს ყოფილი ცოლი მელისა ეხმარებოდა (ეტყობა, განშორების შემდეგ მეგობრებად დარჩნენ). მელისას თქმით, კარლს მისთვის სახლის გასაღებიც მიუცია და უთქვამს, როცა გინდა, მაშინ მოდიო, ის კი ვეღარ გაითვალისწინა, რომ მელისა ბავშვთან ერთად შინ მაშინ დაზვდებოდა, როცა იქ მეგობარ გოგონასთან ერთად მივიდა.

მოსახდენი მოხდა, გალეშილი კორტი განრისხდა და დაუღრიალა — რატომ მოეთრიეო, სამი წლის მტირალ კრისტიანსაც არ მოერიდა და ცოლი ფრენით დაუშვა კიბეზე. შედეგად მელისამ ხელი მოიტეხა და საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა.

ქმრის გატაცებები მელისასთვის სიახლე არ ყოფილა, კარლი ჯერ კიდევ ჯვრისწერამდე ერთი კვირით ადრე ვიღაც ტოპმოდელს დასდევდა თურმე ჭორფილივით და არც მათი ქორწინების დროს დაუკლია გართობა, მაგრამ სახლში ქალის მოყვანა არასდროს უკადრებია და ცოლის თქმით, ახლა როგორ გაბედაო.

ისე, საინტერესოა, რატომ გაუკვირდა, წესით, ყოფილი ქმრის სასიყვარულო ურთიერთობები მას არ უნდა აღელვებდეს. მით უფრო, თანაცხოვრების დროსაც განზე თუ დაძვრებოდა.

ამ შემთხვევის შემდეგ პოლიცია გამოიძახეს, თუმც მელისამ არ იჩივლა და ყველაფერი ალკოჰოლს დააბრალა. კარლი დაუსჯელი დარჩა და იქით შეუტია: კორტის ადვოკატის განცხადებით, მელისას კარლის სახლის სიახლოვეს გაკარება და მისი სიმყუდროვის დარღვევა ეკრძალება.

**ნინო ჭადაჭიშვილი**

# შირა და ჯორდი ჩოპრა

**„ზიტას და გიტას"** კი ჰგავს, მაგრამ თავიდანვე განვმარტოთ, რომ შირა ალან შირერია, ჩოპრა კი „ნიუკასლის" ამომავალი ვარსკვლავი, ვინაც გუშინ ჯორდულ კლუბთან ახალ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

18 წლის მაიკლ ჩოპრა ნიუკასლშია დაბადებული, მამამისი კი, გვარიდანაც მიხვდებოდით, ჩრდილო ინგლისში ინდოეთიდან ჩავიდა.

მიდგა, მოდგა უფროსი ჩოპრა, პატარა მაღაზია გახსნა, ბიჭი კი „ნიუკასლის" ქომაგობას დაჩვია. გარდა დაუფასდა — კონტრაქტზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აგერ, ჯორდთა ცოცხალი ლეგენდა ალან შირერი ამბობს, 2-3 წელიწადში სწორედ ეს ყმაწვილი დაიკავებს ჩემს ადგილსო.

„მისი გვარი უკვე ყველას პირზე აკერია. გოლი გოლზე გააქვს, რასაც საჭირო დროს ადგილზე ყოფნის დიდი ალღოს წყალობით ახერხებს. ჩოპრა კლუბისთვის დიდი შენაძენია, მით უმეტეს, რომ ნაღდი ჯორდია" — განაცხადა პრემიერლიგის ყველაზე ჭიპმოჭრილმა ფორვარდმა.

ცხადია, კონტრაქტის გაფორმებით არანაკლებ გახარებულია თვად ინდოელიც, 6 წლიდან ლამის „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" რომ გაიზარდა: „უბედნიერესი ბიჭი ვარ. ვეცდები, კლუბის იმედები გავამართლო და უმაღლეს დონეზე ვითამაშო. ამისთვის საჭირო ამბიცია ნაღდად გამაჩნია."

გასულ კვირას ჩოპრა „ნიუკასლის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა, როცა ბობი რობსონის გუნდმა „ჩარლტონი" დაამარცხა. მისი მოედანზე გასვლა არც ზეგ, „მიდლსბროსთანაა" დაგეგმილი, თუმცა შემდეგ მატჩში, ლიგის თასზე „ევერტონთან", ალბათ პრემიერლიგის პირველი ინდოელის დებიუტი შედგება. მართლაც საინტერესო რამ გველის — შირერის მემკვიდრე ყველაზე ნიჭიერი ინგლისელი ჭაბუკის, 17 წლის უეინ რუნის წინააღმდეგ.

**გიგა ძოგახიძე**



მაიკლ ჩოპრა

# გალეანოს ხაია

**ბრაზილია**

**გადადებული მატჩები:** ფლამენგო — კორინთიანსი 0:4; პალმეირასი — ბოტაფოგო 2:4; ბაია — სანტოსი 1:4; ატლეტიკო მინეირო — ინტერნასიონალი 3:2; კურიტიბა — კრუზეირო 3:4; გრემიო — ატლეტიკო პარანენსე 2:4; პაისანდუ — გოიასი 1:2; ფიგეირენსე — სან კაეტანო 1:2

**რა არ ხდება** ბრაზილიურ ფეხბურთში: თითქოს ჩვეულებრივი მატჩია — უხეიროდ მოთამაშე დიდი კლუბები, „პალმეირასი" და „ბოტაფოგო" ერთმანეთს ხვდებიან და ცდილობენ გავარდნას გადაურჩნენ.

„ბოტას" კაპიტნად არის ნახევარმცველი გალეანო, რომელსაც წლევანდელ ივლისამდე ათი წელი, მანამდე კი მთელი ბავშვობა „პალმეირასში" გაუტარებია, ამ გუნდის სისხლი და ხორცია. გალეანო „ბოტას" ერთადერთი ნათელი წერტილია, მოულოდნელი მოთამაშე, რომელმაც წლეულს ხუთი გოლი გაიტანა.

ჰოდა, გალეანო თამაშის წინ აცხადებს, რომ „პალმეირასს" რომც გაუტანოს, სიხარულს არ გამოხატავს. „ბოტას" ვიცე-პრეზიდენტი ორლანდო რიბეირო კი 5 ათას რეალს (1,340 დოლარს) პირდება გალეანოს, თუ ეს უკანასკნელი გოლის შემდეგ ჩვეულებრივ გაიხარებს. მიმდინარეობს თამაში და „პალმეირასი", რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი მეკარე მარკოსის გარეშე თამაშობს, კოლუმბიელი ერნან დარიო მუნიოსის დუბლით 2:1-ს უგებს „ბოტას". „პალმეირასის" კარში პენალტი ინიშნება და ბურთთან კაპიტანი გალეანო მიდის, ის ურტყამს და კარს აცილებს ბურთს.

„რა თქმა უნდა, გატანა მინდოდა", ამბობს გალეანო — „მე ცნობილი პენალტისტი ვარ."

„ასეთ ვითარებაში მისთვის პენალტის დარტყმევინება შეცდომა იყო", ამბობს „ბოტაფოგოს" პრეზიდენტი ნეი პალმეირო, ამ მარცხით კი მისი გუნდი ოცდაექვსგუნდა ცხრილში 25-ე ადგილზე დამკვიდრდა.

არანაკლებ უჭირს ბრაზილიის უპოპულარულეს კლუბ „ფლამენგოსაც", რომელიც კარლოს ალბერტო პერეირას ხელქვეით საუცხოოდ მოთამაშე „კორინთიანსმა" „მარაკანაზევე" დასცა. „ფლამენგოს" უფროსობამ 3 რეალამდე (80 ცენტი) დასცა ბილეთის ფასი და მოელოდა, რომ გუნდს 60 ათასი კაცი მაინც გაამხნევებდა, მაგრამ ჯამში 24 ათასზე ცოტა მეტი მოგროვდა და ამათაც ლანძღვა-გინებით აიკლეს კლუბის ავტობუსში მჯდარნი თამაშის შემდეგ.

**ჟაიმე დე ბრიტო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 21 | 12 | 4 | 5 | 43:28 | 40 |
| სან კაეტანო | 21 | 12 | 3 | 6 | 34:22 | 39 |
| კორინთიანსი | 20 | 11 | 5 | 4 | 30:28 | 38 |
| ჟუვენტუდე | 20 | 11 | 4 | 5 | 29:19 | 37 |
| სანტოსი | 22 | 10 | 6 | 6 | 41:30 | 36 |
| ატლ. მინეირო | 20 | 10 | 3 | 7 | 37:32 | 33 |
| გრემიო | 20 | 9 | 6 | 5 | 31:23 | 33 |
| პონტე პრეტა | 20 | 9 | 3 | 8 | 28:23 | 30 |
| კურიტიბა | 20 | 9 | 3 | 8 | 29:25 | 30 |
| გოიასი | 22 | 8 | 6 | 8 | 35:36 | 30 |
| ვიტორია | 20 | 8 | 4 | 8 | 35:31 | 28 |
| გუარანი | 20 | 8 | 4 | 8 | 26:27 | 28 |
| ფლუმინენსე | 19 | 8 | 4 | 7 | 32:37 | 28 |
| ფიგუერენსე | 21 | 8 | 3 | 10 | 29:36 | 27 |
| ატლ. პარანენსე | 21 | 7 | 6 | 8 | 30:26 | 27 |
| პორტუგეზა | 20 | 7 | 5 | 8 | 21:27 | 26 |
| ინტერნასიონალი | 20 | 6 | 7 | 7 | 31:31 | 25 |
| ბაია | 21 | 7 | 4 | 10 | 30:33 | 25 |
| კრუზეირო | 20 | 6 | 6 | 8 | 27:34 | 24 |
| ვასკუ და გამა | 19 | 7 | 2 | 10 | 25:29 | 23 |
| პალმეირასი | 21 | 5 | 8 | 8 | 30:40 | 23 |
| პაისანდუ | 20 | 7 | 1 | 12 | 29:39 | 22 |
| ფლამენგო | 21 | 6 | 4 | 11 | 31:35 | 22 |
| გამა | 22 | 6 | 4 | 12 | 20:30 | 22 |
| ბოტაფოგო | 20 | 5 | 7 | 8 | 22:31 | 22 |
| პარანა | 19 | 6 | 2 | 11 | 29:32 | 20 |

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

აი, ოქტომბერიც გაილია. გაილია და მერე როგორ? „კოსმოპოლიტური მიმოხილვის" გარეშე. სად არის მიმოხილვა? — რეკავდა ხალხი, „კოსმოპოლიტური ბიუროს" ტელეფონი ზარის გადაჭარბებული ვიბრაციის გამო ჰაერში დაფარფატებდა, მოეწყო მასობრივი მანიფესტაციები ხელფასების შემცირებისა და მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის მოთხოვნით, რუსთაველის პროსპექტზე დაიწყო უვადო შიმშილობა, რომლის მონაწილეებიც რუსეთის ავიაციას სასწრაფოდ თხოვდნენ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვას. აქციას შეუერთდა მოსკოვის ინტელიგენციისა და ელიტარული სპეცდანიშნულების რაზმთა დიდი უმრავლესობა. მათ პლაკატებზე ვეება ასოებით ეწერა: „შეგვაშვებინეთ გაზი დედაქალაქის ყველა თეატრში." ამ მოვლენებმა გამოხმაურება ჰპოვეს ვაშინგტონშიც, სადაც თბილისელი და მოსკოველი დემონსტრანტების მხარდასაჭერად მოეწყო დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფორმულა 1-ის პილოტებმა და მონიკა ლევინსკიმ (საქსოფონი). კონცერტს ესწრებოდნენ „ალ ქაიდას" დაჯგუფების წევრები, რომელთა უმეტესობა წვრთნას ახმეტის რაიონში გადის.

მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, „კოსმოპოლიტური ბიუროს" სანიტარული რედაქციის რედაქტორმა, ლამარა დეიდამ, რომელიც ამ მშფოთვარე თვეში დისპეტჩერ-ალოს დამძახებლის ფუნქციებსაც ითავსებდა (ბიუროში მეტი ხომ არავინ იყო), ხალხთა მასების კითხვებს პასუხი ვერ გასცა. მდგომარეობით შეშფოთებულმა ძალოსანმა სტრუქტურებმა (აკვრა და ატაცი, ყველა წონითი კატეგორია) დაიწყეს საგანგებო ძიება. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი ცნობილი იტალიელი რეჟისორის ქრთამიანო ქრთამიანის ხელმძღვანელობით, რომელიც უპირატესად კაბინეტში ჯდომითა და საფერფლის ნამწვავების გავსებით გახლდათ დაკავებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თბილისის ოფისში გამოჰყვეს საგანგებო ბრიგადები, რომელთა წევრებსაც განვითარებად საქართველოში ჟურნალისტების უფლებათა დაცვა და დათრობის შემთხვევაში ღამღამობით შინ წაყვანა დაევალათ.

მაგრამ უშედეგოდ...

(აქ, მიმოხილვის კითხვისას, ყურებში უნდა ჩაგესმათ საშიში მუსიკა: დ-დნ, დ-დნ, დ-დნ!)

თუმცა გამოძიებამ გადაწყვიტა ლოგიკურად ეაზროვნა. ამისთვის მან (გამოძიებამ) უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში წაიკითხა სიტყვა ლოგიკის მნიშვნელობა. მერე კი დაიწყო:

პირველი: რა საქმეს ემსახურებიან „კოსმოპოლიტური ბიუროს" თანამშრომლები? სპორტს, უფრო მეტად ფეხბურთს.

მეორე: მაშ სად ვეძებოთ მათი კვალი? სტადიონებზე.

კარგია!

დავიწყოთ: „სანტიაგო ბერნაბეუზე"?

არა! იმიტომ, რომ ქართველები და ბასკები მამიდაშვილები არიან, ხოლო დღეს მსოფლიო ტერორიზმს ებრძვის ანუ ბასკებს საქართველოს ვიზებს არ აძლევენ, ქართველებს — ესპანეთისას.

„სტადიო ოლიმპიკოზე"?

არა! იმიტომ, რომ იტალიის მთავრობის, პირადად პრემიერის, სილვიო ბერლუსკონის, მისადმი რწმუნებული გუნდის, „მილანის" მოთამაშეთა და ნაკრების მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის მეცადინეობით ამ ქვეყანაში მაფია მხოლოდ მხატვრულ ფილმებში, იატაკქვეშეთში (პარკეტს ქვემოთ) და ქართველების წარმოდგენაში დარჩა, ხოლო ამ უკანასკნელთა ქვეყანაში შეშვებამ მაფია შეიძლება დოკუმენტურ ფილმებში, პარკეტს ზემოთ და სადმე სხვაგან გადაიყვანოს. ამიტომ ბიუროს წევრებს იტალიის ვიზას არავინ მისცემდა.

„ლუჟნიკებზე"?

აპაპაპა! რუსეთში ხომ კავკასიური ეროვნების სახეებს არავინ აჭაჭანებს. მით უფრო, მიუზიკლებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

მაშ სად?

ვიმეორებთ კითხვას. სად იყვნენ დაკარგულნი ოქტომბერში „კოსმოპოლიტური ბიუროს" თანამშრომლები? თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ წუთი და ოცდასამი წამი. თუ არ იცით, არ გვიპასუხოთ, თუ იცით, გვიპასუხეთ, მაგრამ უნდა გვიპასუხოთ, თორემ გონგ თამაში მოგიწევთ.

...ცამეტი წამი, თორმეტი წამი, თერთმეტი წამი...

და აქ, მოთამაშემ მოითხოვა ზარი ახლობელთან.

— რა პროფესიისაა ახლობელი?

— ენერგეტიკოსი. სამინისტროში მუშაობს.

— ალო, გამარჯობათ ახლობელო. თქვენ შეიძლება მოიგოთ ლაი-ლაი ბარათი.

— ო, მიყვარს მე ლაი-ლაი.

— მაშ ასე. რომელ სტადიონზე იქნებოდნენ დაკარგულნი...

— „ლოკომოტივზე". იქ, სადაც ბნელა.

და ასე შემდეგ.

**ბაჩუნა ძიძია**

რეკლამა შოუში: „ეს პარლამენტი ჩვენი არჩევანია!"

# იტალია

პაპუნა კედია




„ატალანტას“ კრისტიანო დონი და დამიანო ძენონი არ ეყოლება

## საკლებში, მაკლებში და ნაკლებში

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უდინეზე | - | ბოლონია |
| ტორინო | - | ბრეშა |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | - | პიაჩენცა |
| კომო | - | ინტერი |
| ემპოლი | - | ლაციო |
| მილანი | - | რეჯინა |
| მოდენა | - | იუვენტუსი |
| პარმა | - | კიევო |
| რომა | - | პერუჯა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:4 | 16 |
| მილანი | 6 | 4 | 1 | 1 | 19:5 | 13 |
| იუვენტუსი | 6 | 3 | 3 | 0 | 10:4 | 12 |
| ლაციო | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| ბოლონია | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 |
| რომა | 6 | 3 | 1 | 2 | 14:10 | 10 |
| ემპოლი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| პარმა | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| კიევო | 6 | 3 | 0 | 3 | 10:9 | 9 |
| მოდენა | 6 | 3 | 0 | 3 | 6:10 | 9 |
| პიაჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| პერუჯა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 |
| უდინეზე | 6 | 2 | .1 | 3 | 4:8 | 7 |
| რეჯინა | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ბრეშა | 6 | 1 | 2 | 3 | 8:12 | 5 |
| კომო | 6 | 0 | 4 | 2 | 4:8 | 4 |
| ტორინო | 6 | 1 | 0 | 5 | 3:12 | 3 |
| ატალანტა | 6 | 0 | 1 | 5 | 4:13 | 1 |

**დღეს** იტალიაში ყველაზე შემტევ გუნდებად „პარმასა“ და „კიევოს“ მიიჩნევენ და კვირას „ტარდინის“ სტადიონზე სწორედ ისინი ხვდებიან ერთმანეთს. საგულისხმოა, რომ ერთმაც და მეორემაც ეს სეზონი ცუდად დაიწყო, თუმცა შემდეგ საქმე გამოასწორა და ბოლო შეხვედრებში გოლებიც გააქვთ.

პარმელები აგერ უკვე სამი ტურია, წინაურდებიან, თუმცა საქმის გამარჯვებამდე მიყვანა მხოლოდ ბოლო ტურში შეძლეს, როდესაც „ატალანტას“ აჯობეს — 2:1. ამის მერე კი გუნდმა უეფას თასზე პოლონურ „ვისლას“ მოუგო.

„პარმას“ მოთამაშეთა შორის რუმინელი ადრიან მუტუ გამოირჩევა. „ინტერის“ ყოფილი მოთამაშე დღეისთვის სერია A-ს ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავადაა შერაცხული. მუტუს პარტნიორი თავდასხმაში ბრაზილიელი ადრიანო გახლავთ, თუმცა ვერონელებთან იგი ვერ ითამაშებს, რადგან დაშავებულია და მას ემილიანო ბონაცოლი შეცვლის.

ახლა „კიევოზე“. „მფრინავმა ვირებმა“ წინა ტურში, არც მეტი, არც ნაკლები, „მილანი“ დაამარცხეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ყველაფრის შემძლენი არიან. მართალია, მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ ზაფხულში წინა სეზონის საუკეთესო მოთამაშეთა ერთი ჯგუფი სხვა გუნდებს დაუთმო, მაგრამ მამაპაპური ფლანგური შეტევებისთვის არ უღალატია. ამასთან, მოედნის შუაგულში ძველებურად ბატონობს ეუჯენიო კორინი.

„პარმასთან“ შეხვედრას გამოტოვებს თავდამსხმელი ფედერიკო კოსატო. ის დისკვალიფიცირებულია. ასე რომ, გერმანელი ოლივერ ბირჰოფი მასიმო მარაცინას პარტნიორად რჩება.

„ატალანტასა“ და „პიაჩენცას“ შეხვედრაში საინტერესო ის არის, რომ ბოლო ექვს შეხვედრაში გამარჯვების გარეშე დარჩენილ ბერგამოელებს გამთამაშებელი კრისტიანო დონი არ ეყოლებათ. მასთან ერთად არ იქნებიან დამიანო ძენონი და ფაუსტო როსინი. თავის მხრივ „პიაჩენცას“ ბერგამოში არასდროს მოუგია და ენცო მარესკაც არ ეყოლება.

„კომო“ „ინტერს“ მასპინძლობს. მილანელები, სავარაუდოდ, კვლავ სამი ფორვარდით ითამაშებენ — ალვარო რეკობა, ერნან კრესპო და კრისტიან ვიერი შეეცდებიან „კომოსაც“ იგივე დამართონ, რაც ლიგაში „რუსენბორგს“ უქნეს, ანუ 3:0 მოუგონ. მაგრამ „კომოს“ ძალიან უნდა ამ სეზონში პირველად გაიმარჯვოს და ამის ცდა „ინტერის“ ყოფილი მოთამაშის, ბენიტო კარბონეს გარეშე მოუწევთ. „ინტერს“ ლუიჯი დი ბიაჯო არ ეყოლება — დისკვალიფიცირებულია.

„ემპოლი“ — „ლაციო“ ის თამაშია, რომელსაც მასპინძლები კარგ ფორმაში ხვდებიან, ხოლო სტუმრები იაპ სტამისა და გრიპიანი ენრიკო კიეზას გარეშე. კიდევ, აქამდე ემპოლიში, ამ მეტოქეთა სამად სამი დაპირისპირება ფრედ სრულდებოდა.

„მილანს“ კი „რეჯინას“ წინააღმდეგ ბრაზილიელი რივალდო გააძლიერებს. ამისთვის ანდრეი შევჩენკოს სკამზე ჩამოჯდომა მოუწევს, ხოლო რივალდოს ფილიპო ინძაგისთან შეწყვილება. დისკვალიფიცირებულნი არიან პაოლო მალდინი და ანდრეა პირლო.

„იუვენტუსი“ მოდენაში მოიგებს (თუ ღმერთი არ გაუწყრა) და ცხადია, კვლავ ფრანგი თავდამსხმელის დავიდ ტრეზეგეს გარეშე. მწვრთნელი მარჩელო ლიპი კვლავ ენდობა არგენტინელ მაურო კამორანეზის.

„რომამ“ რამდენიმე დღის წინ მადრიდში „რეალს“ მოუგო და ახლა შინ, „პერუჯასაც“ მოუგებს, ოღონდ, თუ სერსე კოზმის ბიჭებმა ამის ნება მისცეს. მასპინძელთა თავდასხმაში ითამაშებენ გაბრიელ ბატისტუტა და მარკო დელვეკიო, ანუ ვინჩენცო მონტელა და ანტონიო კასანო მშვიდად იჯდებიან მინდვრის კიდეზე. ცნობისთვის, „რომას“ „პერუჯასთან“ 1976 წლის მერე არ წაუგია.

„ტორინო“ ახალი მწვრთნელის, რენცო ულივიერის ხელმძღვანელობით შეუდგება საქმეს. ულივიერის ყველა მოთამაშე ჯანმრთელად ჰყავს, მისი კოლეგა, კარლო მაცონე კი მეკარის, მატეო სერენისა და თავდამსხმელის, ლუკა ტონის გარეშე იქნება.

ხოლო „ბოლონიამ“ წინა ტურში „ინტერთან“ წააგო და ახლა უდინეში ჯუზეპე სინიორისა და ტომას ლუკატელის გარეშე ცდის ხასიათის გამოკეთებას. „უდინეზე“ ალბათ, გერმანელ კარსტენ იანკერს დაიბრუნებს, მაგრამ ჩეხი მარეკ იანკულოვსკისა რა მოგახსენოთ.

# ინგლისი

[illegible]

## ფრანგული თამაში ეგებ ლივერპულმა მოიგოს

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | — | ბოლტონი |
| ლივერპული | — | ვესტ ჰემი |
| მანჩესტერი | — | საუთჰემპტონი |
| ვესტ ბრომვიჩი | — | მანჩესტერ სიტი |
| **ხვალ** | | |
| ფულემი | — | არსენალი |
| ტოტენჰემი | — | ჩელსი |
| ბლეკბერნი | — | ასტონ ვილა |
| ლიდსი | — | ევერტონი |
| ჩარლტონი | — | სანდერლენდი |
| **ზეგ** | | |
| ნიუკასლი | — | მიდლსბრო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 11 | 8 | 3 | 0 | 22:9 | 27 |
| არსენალი . | 11 | 7 | 2 | 2 | 26:13 | 23 |
| ჩელსი | 11 | 5 | 4 | 2 | 20:12 | 19 |
| მანჩესტერი | 11 | 5 | 4 | 2 | 14:8 | 19 |
| ტოტენჰემი | 11 | 6 | 1 | 4 | 17:16 | 19 |
| მიდლსბრო | 11 | 5 | 3 | 3 | 15:8 | 18 |
| ბლექბერნი | 11 | 5 | 3 | 3 | 18:13 | 18 |
| ევერტონი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:15 | 17 |
| ნიუკასლი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:15 | 16 |
| საუთჰემპტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 11:10 | 16 |
| ფულემი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:14 | 15 |
| ლიდსი | 11 | 4 | 2 | 5 | 13:12 | 14 |
| ბირმინგემი | 11 | 3 | 3 | 5 | 11:14 | 12 |
| ასტონ ვილა | 11 | 3 | 2 | 6 | 7:11 | 11 |
| ვესტ ჰემი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:17 | 11 |
| სიტი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:17 | 11 |
| ჩარლტონი | 11 | 3 | 1 | 7 | 9:16 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 1 | 7 | 8:18 | 10 |
| სანდერლენდი | 11 | 2 | 3 | 6 | 5:15 | 9 |
| ბოლტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:18 | 8 |

**ჟერარ ულიეს** გუნდს დღეს პოზიციის განმტკიცება შეუძლია. „ლივერპული“ „ვესტ ჰემს“ მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში იქნებ უახლოეს მდევარ „არსენალთან“ მეტ სხვაობასაც მიაღწიოს — „არსენალი“ ხომ თამაშს თამაშზე აგებს.

„ჩაქუჩების“ წინააღმდეგ ულიე ყველა საუკეთესოს გაიყვანს. ესაა, სტივენ ჯერარდი, რომელმაც ტრავმის გამო ორი მატჩის გამოტოვა, ჯერაც ვერ არის სასურველ ფორმაში. გაცილებით სერიოზული პრობლემები აქვს „ვესტ ჰემს“. გლენ როდერის გუნდს ტრავმების გამო პაოლო დი კანიო და ფრედერიკ კანო არ ეყოლება. მათ არყოფნაში თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ შესაძლოა, ტიტი კამარამ ითამაშოს.

მეორე ადგილზე მყოფი ჩემპიონი კი „ფულემს“ სტუმრობს და თავისი 4-მატჩიანი მარცხიანი სერიის შეწყვეტას იქ შეეცდება. მეთოფეებს დისკვალიფიცირებული კაპიტანი პატრიკ ვიეირა არ ეყოლებათ. სამაგიეროდ, შეიძლება სეზონის პირველი მატჩი ითამაშოს სასტარტო შემადგენლობაში რობერ პირესმა. ჟან ტიგანას ბიჭები წინა ტურში „საუთჰემპტონმა“ დაიფრინა, მაგრამ პრემიერლიგაში „არსენალის“ შემდეგ ყველაზე ფრანგული გუნდი ჩემპიონს უეფას თასზე ზაგრების „დინამოს“ გაცამტვერების მერე მაინც გულმოცემული ხვდება.

„საუთჰემპტონის“ წინააღმდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში ითამაშებს ჩემპიონთა ლიგისგან დასვენებული რუუდ ვან ნისტელროი. საუთჰემპტონელებს კი ტრავმის გამო ინგლისის ნაკრების მცველი უეინ ბრიჯი დააკლდებათ. მას „ფულემთან“ ზემოთ ნახსენებ მატჩში მუხლი დაუშავებია.

„ბირმინგემი“ „ბოლტონს“ ცენტრალური მცველის ოლივერ ტებილის გარეშე უმასპინძლებს, იგი დისკვალიფიცირებულია. ბოლოადგილოსანი „ბოლტონი“ კი, რომელსაც სექტემბერში თვით „მანჩესტერისთვისაც“ აურთმევია 3 ქულა, ბირმინგემში სრული შემადგენლობით ჩავიდა.

მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება „ვესტ ბრომვიჩსა“ და „მანჩესტერ სიტის“ შორის. მანჩესტერელებს მასპინძლებზე ოდნავ უკეთესი სატურნირო პოზიცია აქვთ. ასე რომ, „ვესტ ბრომვიჩს“ რამდენიმე საფეხურით ამაღლების შანსი ეძლევა. მით უფრო, რომ ამ სეზონში „სიტის“ გასვლაზე მხოლოდ ერთი თამაში, ბირმინგემში მოუგია.

შესაძლოა, „ბლექბერნის“ რიგებში ეგილ ოსტენსტადის ნაცვლად ტრავმამოშუშებული ენდი კოული გამოჩნდეს. „ასტონ ვილას“ მენეჯერმა გრემ ტეილორმა კი იქნებ წინა ხაზში ხუან პაბლო ანხელისა და პიტერ კრუშის ნაცვლად დიონ დაბლინისა და სტივენ მურის წყვილი ათამაშოს. ვილელებს მცველი ოლაფ მელბერგიც დაშავებული ჰყავთ.

ორი აუტსაიდერის, „ჩარლტონისა“ და „სანდერლენდის“ შეხვედრას, შესაძლოა, თითოეული მხრიდან თითო მოთამაშე გამოაკლდეს. მასპინძელთაგან ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის პოლ კონჩესკის თამაშია საეჭვო, სტუმრებს კი ასევე ტრავმის გამო შეიძლება ირლანდიელი ნაილ ქუინი დააკლდეთ.

შესაძლოა, „ლიდსს“ „ევერტონთან“ იან ჰარტი არ ჰყავდეს. მის ადგილზე ტერი ვენეიბლზს ტედი ლუკიჩისა ეიმედება. „ევერტონის“ სასტარტო შემადგენლობაში კი იქნებ 17 წლის თავდამსხმელმა უეინ რუნიმ ითამაშოს.

„ტოტენჰემში“ ტრავმამოშუშებული ლედლი კინგის გამოჩენაა მოსალოდნელი. სამაგიეროდ, საეჭვოა დარენ ანდერტონის თამაში. „ტოტენჰემს“ საკუთარ მოედანზე „ჩელსი“ 1987 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია. „ჩელსის“ კი „დეზები“ ბოლო ოთხ თამაშში ბეჭებზე ჰყავს გაკრული — ორჯერ პრემიერლიგაში, თითოჯერ ლიგისა და ასოციაციის თასებზე. სტუმართა მენეჯერი კლაუდიო რანიერი ძოლა-ჰასელბაინკის შემტევი წყვილით აპირებს თამაშის დაწყებას. გუდიონსენი, სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

„ნიუკასლს“ კი „მიდლსბროსთან“ ალბათ მუხლმტკივანი კრეიგ ბელამი ვერ დაეხმარება.



ჯიმი ჰასელბაინკი და ჯანფრანკო ძოლა ლონდონური დერბისთვის ემზადებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

დავით თავართქილაძე

## სავარაუდო სონატა
## ბაიერნის ცეკვა მუსიკაზე

| XI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კოტბუსი | — | შალკე |
| ნიურნბერგი | — | გლადბახი |
| მიუნხენ 1860 | — | არმინია |
| ჰანოვერი | — | ვოლფსბურგი |
| ჰანზა | — | ლაუტერნი |
| ლევერკუზენი | — | შტუტგარტი |
| დორტმუნდი | — | ჰამბურგი |
| **ხვალ** | | |
| ვერდერი | — | ბაიერნი |
| ბოხუმი | — | ჰერტა |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 10 | 7 | 2 | 1 | 26:11 | 23 |
| დორტმუნდი | 10 | 5 | 5 | 0 | 16:6 | 20 |
| მიუნხენი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:12 | 17 |
| ვერდერი | 10 | 5 | 2 | 3 | 19:19 | 17 |
| ჰერტა | 10 | 4 | 4 | 2 | 12:8 | 16 |
| შალკე | 10 | 4 | 4 | 2 | 13:10 | 16 |
| ვოლფსბურგი | 10 | 5 | 1 | 4 | 11:11 | 16 |
| ბოხუმი | 9 | 4 | 2 | 3 | 20:16 | 14 |
| შტუტგარტი | 10 | 3 | 5 | 2 | 16:12 | 14 |
| არმინია | 10 | 4 | 2 | 4 | 11:16 | 14 |
| ჰანზა | 10 | 4 | 1 | 5 | 11:8 | 13 |
| ლევერკუზენი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:17 | 12 |
| ჰამბურგი | 10 | 4 | 0 | 6 | 11:17 | 12 |
| გლადბახი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:8 | 11 |
| ნიურნბერგი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:17 | 10 |
| ჰანოვერი | 10 | 2 | 3 | 5 | 18:25 | 9 |
| ლაუტერნი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:12 | 6 |
| კოტბუსი | 10 | 1 | 2 | 7 | 5:22 | 5 |

**გინდა არ გინდა**, ყურადღების ცენტრში კვლავაც მიუნხენის „ბაიერნია" — გერმანული მონსტრი, რომელსაც ეშვები ევროპაში დასცვივდა და ქვეყნის სალაპარაკო ამითაც გახდა.

„ახლა გერმანიის ჩემპიონატში და თასზე გამარჯვებას კონცენტრირება. თუ აქაც ხელი მოგვეცარა, ყველას დასაცინი გავხდებით" — უთქვამს ოლივერ კანს.

ბრემენის „ვერდერმა" კი, რომელსაც „ბაიერნი" ესტუმრება, უნდა თქვას, კალენდარი მაქვსო — წინა ტურში ხომ „მუსიკოსებმა" ჩემპიონ „დორტმუნდს" უმასპინძლეს.

ბავარიელები ორ ტრავმირებულს ვერ იახლებენ ბრემენში — მიხაელ ბალაკსა და როკე სანტა კრუზს.

„ბაიერნს" ბურთების ძალიან კარგი სხვაობა აქვს, მაგრამ თუ წააგო, ხოლო „დორტმუნდმა" დიდი ანგარიშით მოიგო, ლიდერობასაც დაკარგავს. თანაც ჩემპიონთა ლიგის მატჩებში კარგად გამოჩნდა, რომ „ბაიერნი" სტუმრად ძალიან დანავსულია.

პრუსიელები ბუნდესლიგის უკიდურესი ჩრდილოეთის წარმომადგენელს მასპინძლობენ. კარგ განწყობაზე უნდა იყოს მათიას ზამერი და მისი გუნდი — „დორტმუნდი" ლონდონის „არსენალის" 2:1 ძლევით ხომ ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გაშლიგინდა.

ჰამბურგელებს ბოლო დროს დორტმუნდში თამაში უჭირთ. ისინი „დორტმუნდთან" დისკვალიფიცირებულ ბოსნიელ თავდამსხმელ სერგი ბარბარესს ვერ დაიხმარენ — ის წინა ტურში გააძევეს „არმინიასთან".

ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოდის „ლევერკუზენიც". კლაუს ტოპმიოლერს ბრაზილიელი მცველი ჟუანი არ ეყოლება, რომელმაც ბერძნულ „ოლიმპიაკოსს" სამშაბათს დიდებული გოლი გაუტანა — ლათინოამერიკელი მცველი თეძოს ტკივილს შეუწუხებია.

„ლევერკუზენის" მეტოქე „შტუტგარტს" კი ავადმყოფ-დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს.

იმავ დღეშია ყველასთვის მოულოდნელად მესამე ადგილზე აცუნცულებული „მიუნხენი" — პეტერ პაკულტის ბიჭებმა წინა ტურში სტუმრად მოუგეს „გლადბახს" და მწვრთნელიც ალბათ იგივე თერთმეტეულს გაიყვანს „ოლიმპიაშტადიონზე".

ბილეფილდელებს კი ორი დაშავებული ჰყავთ — ბრაზილიელი მცველი მარსიო ბორგესი და ხორვატი შემტევი ილია არაჩიჩი.

წინა ტურში „ჰანოვერ 96"-მა ძალიან კარგი გაკვეთილი ჩაუტარა „ბაიერნს" (3:3) და მიუნხენიდან ქულა წაიღო. თუმც „ვოლფსბურგთან" ორ დისკვალიფიცირებულს მოისაკლისებს — სენეგალელ მცველ დეიმ დიუფს და ალბანელ ნახევარმცველ ალტონ ლალას.

დიდებული კალამბურია — ვოლფგანგ ვოლფის „ვოლფსბურგი". ვოლფი ისეთი მწვრთნელია, გამარჯვებული გუნდის შეცვლა რომ არ უყვარს და „მგლებთა" შორის არც იძულებითი ცვლილებები იქნება.

როსტოკი კი ის ქალაქია, სადაც „კაიზერსლაუტერნი" ბოლო სამი წელია, სულ აგებს. ერიკ გერეტსის გუნდს ვინძლო ჩირიაკო სფორცა დაუბრუნდეს, რომელიც რეგიონალლიგაში, „ლაუტერნის" მოყვარულებში თამაშით გახლდათ დასჯილი უნიათობისთვის.

ბოლოადგილოსანი „კოტბუსი" გელზენკირხენელი ჯამბაზების ეყვნებზე წათამაშებას შეეცდება და ეს თუ ვერ მოახერხა, „ზუმარათა" ნერვებს მაინც გაეთამაშება — „კოტბუსმა" ბოლო ორი მატჩში მოუგო „შალკეს".

გელზენკირხენელებს ტრავმირებული ტომაშ ვალდოხი და დისკვალიფიცირებული პოლონელი მცველი ტომაშ ჰაიტო არ ეყოლებათ.

თუ „ნიურნბერგ" — „გლადბახის" მატჩს სტატისტიკურად მივუდგებით, ბავარიელებმა ბოლო ოთხი საშინაო შეხვედრიდან სამი წააგეს მიონხენგლადბახელებთან.



პეტერ პაკულტმა ღმერთს „მიუნხენის" კვლავაც ასე თამაში შესთხოვა

ერთ დროს მრისხანე „გლადბახს" რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავს მოსაკლისებული მიზეზთა გამო, მათ შორის ფორვარდებიც — პიტერ ვან ჰუდტი და არი ვან ლენტი.

კარგი ბუნდესლიგური სტარტით თავწამოყოფილი „ბოხუმი" დედაქალაქურ „ჰერტას" მასპინძლობს — ამ მატჩში ბერლინელთა რიგებში მარკო რემერის დაბრუნებას ელიან — გერმანიის ეროვნული გუნდის მცველს მტკივანი მუხლი ბოლომდე მოუშუშებია.

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

## გაზეთში წერია, რომ...

**„დეპორტივოს"** მწვრთნელი ხავიერ ირურეტა წიგნიერი კაცია, გაზეთებსაც კითხულობს, საიდანაც იგებს, რომ მადრიდის „რეალში" კრიზისია — ესპანური სპორტული პრესის მთავარი სალაპარაკო თემა, ბოლო ხანია, ეს გახლავთ. წერენ, რომ შუა კვირაში, ჩემპიონთა ლიგაში „რომასთან" მატჩისას ვისენტე დელ ბოსკემ უძლიერესი შემადგენლობა ათამაშა, მოედანზე იყვნენ ზინედინ ზიდანი, რაული, რონალდო, ლუიშ ფიგუ, რობერტო კარლოსი და მიუხედავად ამისა, „რეალი" მაინც დამარცხდა. ასევე წერენ, რომ ბოლო შვიდი მატჩიდან მადრიდელებმა მხოლოდ ერთი მოიგეს, რაც კარგი ამბავი ვერაა და გუნდში რაღაც ხდება.

თუმცა ხავიერ ირურეტას ეს გაზეთებში რომც არ წაეკითხა, ისედაც იცოდა და ახლა იმედიანად ელის „რიასორზე" დედაქალაქელთა სტუმრობას. ირურეტას ზურგს სტატისტიკაც უმაგრებს — 1991-92 წლების სეზონის მერე „რეალს" ლა კორუნიაში აღარ მოუგია. სტატისტიკა იქით იყოს და უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ გახლავთ: მადრიდელებს ალბათ არ ეყოლებაც რაული, ზიდანი, ფიგუ და მაკელელე. ამათგან პირველს კუჭი სტკივა, დანარჩენები კი მცირე ტრავმებს შეუწუხებია. აქვე იმის გახსენებაც ღირს, რომ „დეპორტივომ" ჩემპიონთა ლიგიდან გააძევა მიუნხენის „ბაიერნი".

მიუხედავად „რეალის" ამგვარი გაჭირვებისა, დივიზიონში მეოთხე ადგილზეა და „დეპორტივოს" ორი საფეხურით უსწრებს. თუმცა ეს უპირატესობა ოდენ ბურთების უკეთეს შეფარდებაში აისახება.

სამაგიეროდ მადრიდელებს სალიგო საქმეები დროებით მოგვარებული აქვთ, უკვე მეორე ეტაპზე არიან, მაშინ, როცა ლაკორუნიელებს საამისოდ კიდევ მოუწევთ ბრძოლა.

გალისიელთა კაპიტანი ფრანი კი თანაგუნდელებს აფრთხილებს: „ჩვენ „რეალის" კრიზისი არაფერს გვმატებს. ეს გუნდი ყოველთვის ძალიან სახიფათო მეტოქეა, მით უფრო ახლა, როცა ყოველი მხრიდან აკრიტიკებენ და გაავებულია."

ცხადია, ამ უქმეებზე ესპანეთში მთავარი ამბავი ეს თამაშია, მაგრამ ტური ათი მატჩისგან შედგება და სხვა წყვილებზეც ვთქვათ.

ჩემპიონატის მოულოდნელი ლიდერი. „სოსიედადი" ვილიარეალში ჩადის. მასპინძლები ცხრილში გვარიანად ქვევით კი არიან, მაგრამ წინა ტურში „რეალს" ფრედ ეთამაშნენ, რამაც დიდ გულზე მოიყვანა და გამარჯვებით იქადნებიან. თავის მხრივ სანსებასტიანელთა ფრანგ თავკაც რაიმონ დენიოს სასტარტო შემადგენლობაში ეყოლება მუნდიალიდან კარგად დამახსოვრებული ხავი დე პედრო, ვინაც გასულ უქმეებზე „რასინგთან" მატჩისას შეცვლაზე შევიდა და გამარჯვებისა გაიტანა.

„რასინგი" კი „ბარსელონას" დასახვედრად ემზადება. სანტანდერელები იმათ შორის არიან, ვინც წლეულს „რეალის" დამარცხება უკვე მოახერხა და „ბარსელონასაც" იგივეს თუ უზამენ, სალაპარაკოდ დიდხანს ექნებათ. კატალონიელებმა, მოგეხსენებათ, წინა ტურში კბილები გამოაჩინეს და „ალავესს" ექვსი გოლით გაუმასპინძლდნენ. მაგრამ მეორე მხრივ, სტუმრად უკვე ორჯერ დამარცხდნენ, რაც ლუის ვან გაალს მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს.

თუკი ამ ტურში „სოსიედადი" დამარცხდა, ერთბაშად ორ გუნდს უჩნდება პირველ ადგილზე გადაბარგების შანსი — „ვალენსიას" და „სელტას". ოღონდ შევნიშნოთ, რომ ესენი ბასკებს ბურთების უკეთესი შეფარდებით თუ გადაუსწრებენ.

„ვალენსია" ბარსელონაში ჩადის, სადაც რამონ მოიას ახლებურად გაწვრთნილი „ესპანიოლი" დახვდება. შეგახსენებთ, რომ მოიას მისვლის მერე გუნდმა ორივე თამაში მოიგო. „ვალენსიას" ბრწყინვალე ფორმას თუ გავიხსენებთ, მესამეს მოგება ბევრად ძნელი იქნება. მან პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში 5:1 სძლია „ბილბაოს", მერე კი ლივერპულში მოიგო ჩემპიონთა ლიგის მატჩი. „ვალენსია" როგორი გუნდიცაა, არ გვესწავლება, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნიო, თქვა მასპინძელთა კარის დარაჯმა ალფრედო არგენსომ.

სტუმრად თამაშობს „სელტაც". მისი მეტოქე ზემოთ ნახსენები „ბილბაოა". თქვენს მტერს, ბასკები ისეთ დღეში და იმ ადგილზე არიან, ამასთანავე „სან მამესმა" ამ სეზონში ჯერაც ვერ დასცხო გამარჯვების ყიჟინა. ვიგოელებმა კი ხუთშაბათს უეფას თასზე 3:0 მოუგეს „ვიკინგს".

მადრიდში დერბია, ფრეების მოყვარული „ატლეტიკო" ქალაქის მესამე გუნდს, „რაიო ვალეკანოს" მასპინძლობს და ორივე გუნდში დანაკლისია. ატლეტიკოელებს ოდინდელი ბარსელონელი სერხი არ ეყოლებათ, ვალეკანოს უბნელებს კი ხორხე ასკოიტია, ვინც ვარჯიშისას დაშავდა.

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვალიადოლიდი | — | მალიორკა |
| დეპორტივო | — | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ატლეტიკო | — | რაიო ვალეკანო |
| ბილბაო | — | სელტა |
| ესპანიოლი | — | ვალენსია |
| ბეტისი | — | მალაგა |
| ოსასუნა | — | უელვა |
| ალავესი | — | სევილია |
| რასინგი | — | ბარსელონა |
| ვილიარეალი | — | სოსიედადი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 7 | 5 | 2 | 0 | 19:12 | 17 |
| ვალენსია | 7 | 4 | 2 | 1 | 16:5 | 14 |
| სელტა | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| რეალი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:8 | 12 |
| მალაგა | 7 | 3 | 3 | 1 | 16:13 | 12 |
| დეპორტივო | 7 | 4 | 0 | 3 | 11:12 | 12 |
| მალიორკა | 7 | 4 | 0 | 3 | 8:9 | 12 |
| ბარსელონა | 7 | 3 | 2 | 2 | 15:10 | 11 |
| ბეტისი | 7 | 2 | 4 | 1 | 13:9 | 10 |
| რასინგი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| ვალიადოლიდი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:8 | 10 |
| ატლეტიკო | 7 | 1 | 5 | 1 | 10:8 | 8 |
| რაიო | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | 8 |
| ვილიარეალი | 7 | 1 | 4 | 2 | 9:9 | 7 |
| სევილია | 7 | 1 | 4 | 2 | 6:7 | 7 |
| ესპანიოლი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:12 | 7 |
| ოსასუნა | 7 | 1 | 2 | 4 | 10:16 | 5 |
| ალავესი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:18 | 5 |
| ბილბაო | 7 | 1 | 2 | 4 | 7:16 | 5 |
| უელვა | 7 | 0 | 2 | 5 | 5:15 | 2 |



ძველი ბარსელონელი სერხი მადრიდულ დერბის ასცდა

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 18.30 | 001 | კოტბუსი-შალკე | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 18.30 | 002 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| 18.30 | 003 | მიუნხენი-არმინია | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 18.30 | 004 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 18.30 | 005 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 18.30 | 007 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 008 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 20.30 | 009 | ვერდერი-ბაიერნი | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 20.30 | 010 | ბოხუმი-ჰერტა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XI ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 18.00 | 015 | ბრაუნშვაიგი-ალემანია | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 18.00 | 016 | როიტლინგენი-ფიურტი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 017 | ვალდჰოფი-ბურგჰაუზენი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 18.00 | 018 | ტრიერი-ალენი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23.15 | 019 | მაინცი-კარლსრუე | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XV ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 2134 | ტოტენჰემი-ჩელსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 2135 | ბლეკბერნი-ა.ვილა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 2136 | ლიდსი-ევერტონი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.05 | 2137 | ჩარლტონი-სანდერლ. | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 2138 | ატალანტა-პიაჩენცა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.00 | 2139 | კომო-ინტერი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 18.00 | 2140 | ემპოლი-ლაციო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 18.00 | 2141 | მილანი-რეჯინა | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,6 | 6,0 | 18,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 2142 | მოდენა-იუვენტუსი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 18.00 | 2143 | რომა-პერუჯა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.30 | 2144 | პარმა-კიევო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 2145 | ბილბაო-სელტა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 2147 | ესპანიოლი-ვალენსია | 4,7 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 20.00 | 2148 | ოსასუნა-უელვა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 2149 | ვილიარეალი-სოსიედ. | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.00 | 2150 | ბეტისი-მალაგა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 22.00 | 2151 | ალავესი-სევილია | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.30 | 2152 | რასინგი-ბარსელონა | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 24.00 | 2153 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | |
| 18.30 | 2316 | კოტბუსი-შალკე | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2317 | ნიურნბერგი-მონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2318 | მიუნხენი-არმინია | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2319 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2320 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2321 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2322 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2323 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2324 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2325 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2326 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2327 | უდინეზე-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2328 | ტორინო-ბრეშა | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2329 | ვალადოლიდი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2346 | ატლეტიკო-რაიო | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2330 | დეპორტივო-რეალი | 1,6 | 2,0 |
| | | 3 ნოემბერი | | |
| 20.30 | 2331 | ვერდერი-ბაიერნი | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 2332 | ბოხუმი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 18.00 | 2333 | ფულემი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2334 | ტოტენჰემი-ჩელსი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2335 | ბლეკბერნი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2336 | ლიდსი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 20.05 | 2337 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2338 | ატალანტა-პიაჩენცა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2339 | კომო-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2340 | ემპოლი-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2341 | მილანი-რეჯინა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2342 | მოდენა-იუვენტუსი | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2343 | რომა-პერუჯა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2344 | პარმა-კიევო | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2345 | ბილბაო-სელტა | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2347 | ესპანიოლი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2348 | ოსასუნა-უელვა | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2349 | ვილარეალი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2350 | ბეტისი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2351 | ალავესი-სევილია | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2352 | რასინგი-ბარსელონა | 1,75 | 1,85 |
| | | 4 ნოემბერი | | |
| 24.00 | 2353 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები საფრანგეთის 18-წლამდელებს გაუმართავს სპარინგს. მატჩი „ეროვნულზე" გაიმართება და სამ საათზე დაიწყება, ბილეთი 1 ლარი ეღირება. ამ თამაშის გამო გუშინ მატჩისწინა პრესკონფერენცია მოეწყო

# ცუდი ცხოვრება VS კარგი ცხოვრება

**ვინაიდან** ჩვენს ჭაბუკთა ნაკრებს იმდროისთვის ვარჯიში ჰქონდა, ჟურნალისტებთან შეხვედრა ვერ მოახერხა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმა. მის მაგივრად კითხვებს მისმა თანაშემწემ, ლევან მაისაშვილმა უპასუხა. ფრანგებს კი დელეგაციის უფროსი ანდრე პეტავანი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფაბრის ბრომარი წარმოადგენდნენ. პირველი კითხვა სტუმრებს ერგოთ.

**ფაბრის ბრომარი**: ჩვენ ყოველ წელს ვთამაშობით ინგლისელ, უელსელ და ირლანდიელ ჭაბუკებს, მერე ვაწყობთ ხანგრძლივ ტურნეებს სამხრეთ ნახევარსფეროში, ძირითადად სამხრეთ აფრიკასა და ახალ ზელანდიაში. ამ ტურნეს წინ ტრადიციულად ვთამაშობდით იტალიის ჭაბუკთა ნაკრებს, მაგრამ წლეულს ტრადიციას დავარღვიეთ და სპარინგ-მეტოქედ საქართველო ავირჩიეთ. ეს იმიტომ, რომ ქართველებმა ძალიან მოუმატეს და არაფრით ჩამოუვარდებიან იტალიელებს. ჩვენთვისაც საინტერესო და სასარგებლოა მეტოქის გამოცდა.

–აქ ყოფნისას ქართველთა რამდენიმე ვარჯიშს დავესწარი. გვქონდა ერთობლივი წვრთნაც. პირველი, რაც დავინახე, ეს თქვენი მორაგბეების სიმაღლე და თავდადებაა. ამასთან ინდივიდუალურად ძალიან კარგად თამაშობენ, არ აშინებთ ინიციატივის ხელში აღება. ძალიან ნიჭიერები არიან. რამდენჯერმე სასარგებლო რჩევა მივეცი და მათაც უმალ აუღეს ალღო, გამეორება აღარ დამჭირდა. ეს რაც შეეხება ძლიერ მხარეს. სისუსტეზეც გეტყვით. თქვენები გუნდურ თამაშში მოიკოჭლებენ, ხშირად ხვდებიან თამაშგარე მდგომარეობაში და უჭირთ მიწაზე ბურთისთვის ბრძოლა.

ბრომარის შემდეგ **ანდრე პეტავანმა** ილაპარაკა. პეტავანი საგაისო ჭაბუკთა მსოფლიოს თასის საორგანიზაციო კომიტეტის უფროსთაგანია. მსოფლიოს თასი პარიზის რეგიონში გაიმართება, პეტავანი კი ამ რეგიონის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტია.

–მსოფლიოს თასის საორგანიზაციო საკითხები უმაღლეს დონეზე მოვაგვარეთ. შევხვდით ყველა მონაწილე გუნდის წარმომადგენლებს და ყველაფერი შევათანხმეთ. სტუმრებს პარიზის რეგიონის ოცდაათი ქალაქი უმასპინძლებს. მათი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველას ექნება შესაბამისი მოედანი და სასტუმრო. ამას მათი მასპინძელი კლუბი უზრუნველყოფს. იმაზეც ვიზრუნეთ, რომ გუნდები ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩამოვიდნენ საფრანგეთში და შეეგუონ ადგილობრივ კლიმატს, თუმცა საქართველოსთვის კარგად მოემზადოს. სპარინგ-პარტნიორების გამოძებნა პრობლემა არ იქნება. ორგანიზატორები მოვილაპარაკებთ კაცთა და ახალგაზრდულ გუნდებს, რათა ისინი ამხანაგურად ეთამაშონ მონაწილეებს. რომელი ასაკის გუნდს აირჩევენ მეტოქედ, ეს თავად სტუმრების გადასაწყვეტია. ასე რომ, ჭაბუკთა მსოფლიოს თასს პარიზის რეგიონი უმაღლეს დონეზე უმასპინძლებს.

ერთი საგულისხმო ფაქტი. ფრანგებმა თბილისში 25 მორაგბე ჩამოიყვანეს. ყველა მათგანი 1985 წელსაა დაბადებული და 18-წლამდელთა საგაისო მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან. მწვრთნელებს ეს 25 ჭაბუკი 400 17-წლამდელი მორაგბიდან შეურჩევიათ. სულ კი საფრანგეთში ამ ასაკის მინიმუმ 1500 მორაგბეა.

პეტავანი სიამაყით ყვებოდა, რომ საფრანგეთში 17-წლამდელებისთვის რაგბის სპეციალიზებული 9 სკოლა მუშაობს. განსაკუთრებით პერსპექტიული ბიჭებიც სრულწლოვანობამდე ამ სკოლებში იწრთობიან, მერე კი კლუბებთან აფორმებენ კონტრაქტს. ვინც თბილისში ჩამოვიდა, ყველა ამ სკოლების მოსწავლეა. ისეთებიც ბლომად გვყავს, სასკოლო ასაკს რომ ასცდნენ, თუმც ჭაბუკთა ნაკრებში მოხვედრა ჯერ კიდევ შეუძლიათ, დაამატა პეტავანმა.

ამის გაგონებაზე ლევან მაისაშვილმა ნაღვლიანად ჩაილიმა.

**ლევან მაისაშვილი**: საქართველოში 200-მდე ჭაბუკი მორაგბეა და ამათგან მოგვიხდა 32-ის შერჩევა. შეკრებაზე კი სულ 60 მორაგბე გვყავდა გამოძახებული. თუ ადრე ნაკრების ძირითადი ბირთვი თბილისური კლუბების მორაგბეები იყვნენ, ახლა ფოთელები, ბათუმელები, რუსთაველები და, ცხადია, ქუთაისელებიც მოხვდნენ გუნდში.

–ჩვენთვის ეს არის მსოფლიოს თასისთვის მზადების ერთ-ერთი მთავარი ეტაპი. ასეთ სერიოზულ მეტოქესთან გაჯიბრება ძალიან წაგვადგება. ფაქტობრივად, ახალი გუნდის კეთებას ვიწყებთ. წლევანდელ მსოფლიოს თასზე ნათამაშები შემადგენლობიდან გაისად მხოლოდ ოთხს აქვს თამაშის უფლება: მამუკა გორგოძეს, ოთარ ბარკალაიას, გიორგი გვეიძეს და გიორგი ელიზბარაშვილს.

–ჩვენ ყოველთვის მოსაგებად გავდივართ და ხვალაც ასე იქნება. მეტოქე ძალიან ძლიერია და მშვენიერ პირობებში ემზადებოდა. ჩვენ კი ერთი სრულფასოვანი შეკრებაც ვერ მოვასწარით, რადგან ნაკრების წევრები საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ და კლუბები ვერ დაგვითმობდნენ.

**ბაჩო სვანიძე**



ანდრე პეტავანი



ფაბრის ბრომარი



კარლო მოიამ გუშინ ანდრე აგასი პარიზიდან აიბარგა



REUTERS პარიზიდან

მარატ საფინი ნახევარფინალშია

# ტაილანდური სარეველა
## გაჯეჯილებულ ნათესებს შრიჩაფანმა მუსრი გაავლო

**მასტერს სერია**

პარიზი. ჰარდი

საპრიზო 2,8 მილიონი დოლარი

**მესამე წრე**

**ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (6, ბრიტანეთი) 6:4, 6:2; **პარადორნ შრიჩაფანი** (ტაილანდი) — გილერმო კანასი (16, არგენტინა) 6:1, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 6:2, 7:6 (7:3); **როჯერ ფედერერი** (8, შვეიცარია) — ტომი ჰაასი (9, გერმანია) 6:2, 7:6 (7:2); **მარატ საფინი** (3, რუსეთი) — სხენგ შალკენი (15, ჰოლანდია) 7:5, 7:5; **კარლოს მოია** (10, ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (7, საფრანგეთი) 3:6, 7:6 (12:10), 6:4; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:7 (2:7), 6:4, 6:3; **ენდი როდიკი** (12, აშშ) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 7:6 (7:5), 6:4

სიტყვის კაცი ყოფილა ფრანგი ნიკოლა ესკუდე. მეორე წრეში ალბერტო კოსტა რომ გააგდო, დაიქადნა, თუ ტიმ ჰენმანს გადავეყარე, ბაზელში ამასწინანდელი მარცხისთვის სამაგიეროს მივუზღავო. თქვა და გააკეთა.

შურისძიება შურისძიებად და ესკუდემ ჰენმანს სხვაც ბევრი დააკარგვინა. ჰენმანი ტურნირს ხომ დაემშვიდობა და ვერც გვარიანი სარეიტინგო ქულები მიითვალა. ქულები კი ბრიტანელ ჩოგბურთელს ჰაერივით სჭირდება, რათა ჩემპიონთა რბოლაში მოწინავე რვა მეჩოგნეში გაერიოს და ამით ნოემბერში შანხაიში გასამართ რვაკაცა მასტერსთასზე ითამაშოს. ალბათ ჰენმანი ველარ მოხვდება რვა საუკეთესოს შორის და შანხაის ტოპ-ტურნირიც უიმისოდ ჩაგრიალდება.

თუ ვინმეს აქვს გარანტირებული შანხაიში ჩოგნის ქნევა, ესენი პლანეტის ნომერ პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი და უბერებელი ანდრე აგასი არიან. ამათ რბოლაში პირველი ორი ადგილი უკავიათ. წინ ჰიუიტია (690), უკან აგასი (554).

პარიზული ტურნირის მესამე წრე ორივე ჩოგბურთელმა გადალახა. ჰიუიტმა დაძაბული და ლამის სამსაათიანი შეხლა გადაიტანა სოჭელ ევგენი კაფელნიკოვთან. ავსტრალიელის მიერ იოლად მოგებული პირველი სეტის შემდეგ რუსი გვარიანად გაძალიანდა და ტაიბრეიკზე თავისი მოწოდებები კორტში რომ მოეხვედრებინა, გამარჯვებულის გამოსავლენად ეგებ მესამე სეტიც გამხდარიყო საჭირო. ისე კი, სამიზნემოშლილ ქენიას ყოჩაღმა ჰიუიტმა კორტი მოუოხრა და მეოთხედფინალშიც ალალად გავიდა. „კაფელნიკოვი იმსახურებდა შემდეგ წრეში გასვლას, ოღონდ არა ჩემი გაგდებით. მე დღეს მასზე ძლიერი ვარ და უსამართლობა იქნებოდა, მეოთხედფინალში არ გავსულიყავი" — თქვა მერე ჰიუიტმა.

— ჩემი მიზანია, დავეწიო და გავუსწრო ჰიუიტს. მერე კი შეიძლება კარიერის დასრულებაზეც ვიფიქრო — თქვა ტომას იოჰანსონის დამარცხების შემდეგ აგასიმ.

32 წლის ანდრემ ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი იოჰანსონი მეორე სეტში გატეხა, როცა ანგარიში 2:2 იყო. მერე კი 16 ეისი უთავაზა შვედს და მალევე მოუმთავრა საქმე.

პარადორნ შრიჩაფანის გამარჯვებების სერიას დასასრული არ უჩანს. გასულ კვირას სტოკჰოლმის ტურნირზე გაპირველების შემდეგ (მის კარიერაში მეორე ტიტული იყო) ჩია ფილიპინელმა ზედიზედ სამი მატჩი მოიგო და პარიზული მასტერსტურნირის მეოთხედფინალშიც გავიდა. თანაც ამ სამ მატჩში შრიჩაფანმა მხოლოდ 12 გეიმი წააგო და კორტზე ჯამში მხოლოდ 2 საათი და 35 წუთი დაჰყო.

პარადორნის მორიგი მსხვერპლი მე-16-ედ განთესილი არგენტინელი გილერმო კანასი გახდა. შრიჩაფანმა უკვე მეორე განთესილი შეიწირა პარიზში. მანამდე ესპანელი ხუან კარლოს ფერერო (4) გააგდო, რომელიც, სხვათა შორის, პარიზული კორტის დარ მაგარ საფარზე ერთობ ყოჩაღობს და საამსაფრო ორ ტიტულს ფლობს.

ამერიკელი ენდი როდიკისთვის კი ამ ტურნირის მოგება ბოლო შანსია, რათა შანხაიში მოხვდეს. ენდიმ, ვისაც მანერებსაც უწუნებენ და ამპარტავნობასაც საყვედურობენ, რუმინელ ანდრეი პაველს მოუგო დამქანცველი შეხლა და მიზანს ნელ-ნელა უახლოვდება, თუმც მეოთხედფინალში შრიჩაფანთან მოუწევს საქმის დაჭერა და ვინძლო აზიურ ყუმბარმტყორცნს გამძლე ჯავშანი ვერ მოუძებნოს.

**მეოთხედფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — როჯერ ფედერერი (8, შვეიცარია) 6:4, 6:4; **მარატ საფინი** (3, რუსეთი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:3, 5:7, 6:3; **კარლოს მოია** (10, ესპანეთი) — ანდრე აგასი (2, აშშ) 6:4, 6:4



REUTERS პარიზიდან

ანდრე აგასიმ თეთრი ბაირაღი გადმოყიდა

ავტორბოლა



პედრო დე ლა როსამ და ედი ირვინმა სეზონი „იაგუარში“ დაიწყეს

# ლაუდამ ირვინს ხელი წამოჰკრა

ფორმულა 1-ის გუნდები საზამთრო ტესტების დაწყებამდე შემადგენლობების გადახალისებას ეშურებიან. ცხადია, ეს ყველა საჯინიბოს არ ეხება. საუკეთესოებმა — „ფერარამ“, „უილიამსმა“ და „მაკლარენმა“ მძღოლთა ტანდემი უცვლელად შეინარჩუნეს. ზოგი ბოსი თითო პილოტის შეცვლას აპირებს, საშუალოძალოვანი „იაგუარის“ ავსტრიელმა შეფმა ნიკი ლაუდამ კი ორივენი — ედი ირვინიც და პედრო დე ლა როსაც დაითხოვა სამსახურიდან.

გასაკვირი კი, რაღა მაინცდამაინც ახლა ეცნენ ირლანდიელს, ედიმ ხომ სწორედ წლეულს მიაღწია „იაგუარში“ საუკეთესო შედეგს: რვა ქულა მოაგროვა, ერთხელ (იტალიაში) პოდიუმზეც იდგა და მისი მონაგარის წყალობით გაცილდნენ „მწვანე კატები“ თერთმეგუნდიან ჩემპიონატში მათთვის უმაღლეს მეშვიდე ადგილზე. დე ლა როსა თანაგუნდელს კინკილა ქულითაც ვერ შეეწია.

წლევანდელ სეზონში მეფორმულეთა შორის უხნეს ირვინს, რომელიც ერთ კვირაში 37 წლის შესრულდება, სხვებივით გუნდიდან გუნდში ბოდიალი არ უყვარს: „იაგუარი“ მის ათწლიან კარიერაში მხოლოდ მესამე საჯინიბო იყო „ჯორდანის“ (1993-95) და „ფერარის“ (1996-99) შემდეგ. შეგახსენებთ, რომ თავის საუკეთესო შედეგს „სკუდერიაში“ მრბოლობისას მიაღწია — 1999 წელს ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა. სულ ჩაატარა 147 რბოლა, რომელთაგან ოთხი მოიგო (41-ე შედეგი ფორმულის ისტორიაში) და დააგროვა 191 ქულა (29). როგორც ხედავთ, ედი ირვინი სულაც არაა ხელწამოსაკრავი მძღოლი, თუმც გვეჩვენება, საგასოდ თითქმის უკვე დაკომპლექტებულ რომელიმე გუნდში გამოინახოს მისთვის ადგილი. და მაინც, ზოგიერთნი „ჯორდანში“ დაბრუნების ვარიანტს არ გამორიცხავენ.

გაცილებით უარეს დღეშია 31 წლის ესპანელი — დე ლა როსას შედეგები საფორმულო სუფრაზე რა მოსატანია: 63 რბოლაში სულ რაღაც ექვსიოდე ქულა.

„იაგუარში“ მოხსნილთა ადგილებს დაიკავებენ „მინარდიდან“ აბარგებული ავსტრალიელი მარკ ვებერი და „უილიამსის“ ბრაზილიელი ტესტ-დრაივერი ანტონიო პიცონია.

**გია ახალაძე**

ჭადრაკი

## მსოფლიო ოლიმპიადა ბლედი (სლოვენია)

### მე-6 ტური

ვაჟები

სᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ჩინეთი 2,5:1,5 (*ზურაბ აზმაიფარაშვილი — იანგ ხუანი 0,5:0,5, ზურაბ სტურუა — ჩუ ჟუნი 0,5:0,5, ზვიად იზორია — ბუ ხიანგი 0,5:0,5, მერაბ გაგუნაშვილი — ჟანგ პენგხიანგი 1:0*), რუმინეთი — სომხეთი 1,5:2,5, ბოსნია — რუსეთი 1,5:2,5, ჩეხეთი — უნგრეთი 2,5:1,5, უკრაინა — ინგლისი 2:2

ქალები

სᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ჰოლანდია 2:1 (*მაია ჩიბურდანიძე — ჩაოგინ პენგი 1:0, ნინო ხურციძე — თეა ლანჩავა-ბოსბუმი 1:0, ქეთევან არახამია — დეზირე ჰამელინკი 0:1*) აშშ — რუსეთი 1,5:1,5, უნგრეთი — ჩინეთი 1,5:1,5, ინდოეთი — კუბა 1,5:1,5, ინგლისი — ლიტვა 0,5:2,5, სომხეთი — დანია 3:0

### სატურნირო ვითარება

ვაჟები

1 რუსეთი (18,5 ქულა) 2 რუმინეთი (17) 3 პოლონეთი (17)

ქალები

1 სᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ (15) 2 რუსეთი (13,5) 3 საფრანგეთი (13)

ხელბურთი

## მსოფლიოს თასი. ვაჟები

შვედეთი. 29 ოქტომბერი — 3 ნოემბერი

A ჯგუფი

დანია 33:25 შვედეთი

საფრანგეთი 29:23 ეგვიპტე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 77:69 | 5 |
| დანია | 2 | 0 | 1 | 82:75 | 4 |
| შვედეთი | 1 | 1 | 1 | 74:80 | 3 |
| ეგვიპტე | 0 | 0 | 3 | 72:81 | 0 |

B ჯგუფი

ისლანდია 34:29 იუგოსლავია

გერმანია 31:28 რუსეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 0 | 0 | 89:72 | 6 |
| რუსეთი | 1 | 0 | 2 | 98:91 | 2 |
| იუგოსლავია | 1 | 0 | 2 | 85:96 | 2 |
| ისლანდია | 1 | 0 | 2 | 82:95 | 2 |

ჯგუფური ტურნირი უდიდესი სენსაციით დასრულდა: ევროპის ჩემპიონმა შვედეთმა, ასპარეზობის მასპინძელმა და უმთავრესმა ფავორიტმა, უტიტულო დანიასთან სამარცხვინო განადგურების შედეგად ნახევარფინალში ვერ გააღწია.

მოულოდნელი იყო მეორე ჯგუფში გერმანელთა უდანაკარგო პირველობაც, ხოლო ოლიმპიური ჩემპიონი რუსები, ბოლო ორი მატჩის წაგების მიუხედავად, მაინც აგრძელებენ თასისთვის ბრძოლას გატანილ-გაშვებული ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით.

დღეს ნახევარფინალური შეხვედრებია: მეზობელთა მძლეველი დანიელები გერმანელებს დაუპირისპირდებიან, მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგები კი რუსებს.

კალათბურთი

# ათასი გმინვა

## ალაჰს ქაია პეკერის აბანკალებული ხელებისთვის არ მცალა

ალაჰმა დალახვროს ქაია პეკერი! — ამას, ანაც უარესს იტყოდა ოთხშაბათს „აბდი იპექჩი პოლში“ შეკრებილი „ეფესის“ ათასობით ქომაგი. მეორე ოვერტაიმის დასრულებამდე 5 წამით ადრე ამ კაცმა ორი საჯარიმო ვერ ჩაუგდო „ბარსელონას“, არადა, რომ ეხეირა, „ეფესი“ 3 ქულით დაწინაურდებოდა და ძნელი სავარაუდო იყო, კატალონიელებს თამაში გადაერჩინათ. სტუმრებს სამქულიანი რომც ჩაეგდოთ, მატჩი მესამე ოვერტაიმში გადავიდოდა და... მოკლედ, სტამბოლში ევროლიგის ჯერჯერობით ყველაზე დაძაბული რკენა შედგა — ევროვარსკვლავებით გადაჭედილმა „ბარსელონამ“ გამძვინვარებული თურქი ფანებისგან ალესილ ეფესელებს ბოლო წამებზე გამოჰგლიჯა გამარჯვება და უბიწობა შეინახა.

პეკერის საჯარიმოდან გაცუდებული ბურთი ესპანელმა ხუან კარლოს ნავარომ მოხსნა და ეფესელ გრანგერთან შეჯახების მერე თავად დადგა საჯარიმოს ხაზთან. დანარჩენი სიზუსტის საქმე იყო, რაც ნავაროს რომ არ აკლია, ამას წინათ ინდიანაპოლისშიც დაამტკიცა. „ბარსელონამ“ მეოთხე მატჩიც მოიგო და ახლა ისღაა საკითხავი, პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლომდე თუ დამარცხდება.

ამის გარდა მეოთხე ტურს კიდევ ორი ოვერტაიმი გამოერია, მაგრამ ჯერ ევროლიგის დაუმარცხებლებზე დავასრულოთ ლაპარაკი ანუ ბასკურ „ტაუზეც“ ვთქვათ. ვიტორიელები ჩერნიგორიაში ჩავიდნენ და დაბეჩავებული „ბუდუჩნოსტი“ გვარიანად დატუქსეს. პოდგორიცელებმა ერთი ტაიმი გაუძლეს არგენტინელი ლუის სკოლასა და ანდრეას ნოჩიონით გაძლიერებულ ესპანელებს, მერე კი B ჯგუფის ლიდერს თეთრი დროშა აუფრიალეს.

B ჯგუფის ლიდერი ვახსენეთ და აქვეა ლიუბლიანის „ოლიმპია“, რომელმაც კაუნასში „ჟალგირისი“ დაამარცხა. ბოისას გუნდს აღმოჩენად მიიჩნევენ ევროპელი საკალათბურთო კალმოსნები, ლიუბლიანელებმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს და ისიც „ტაუსთან“ ბოლო წუთზე. „ოლიმპიას“ იმდენად ძლიერი კალათბურთელები არა ჰყავს, რამდენადაც ზუსტად შერჩეული და შეთამაშებული. მათ შორისაა ჩვენებური ვლადიმერ ბოისა, რომლის წილი ოლიმპიელთა ამ ბოლო წარმატებებში ერთობ მნიშვნელოვანია. ვოვამ კაუნასშიც სტაბილურად ითამაშა. მართალია, წინანდელივით ბომბარდირი ვერ გახდა, მაგრამ 9 ქულითა და ყოჩაღი დაცვით ლიტველთა გამტეხთაგანია. ბოისას გუნდმა ამ გამარჯვებით თელ ავივის „მაკაბის“ გადაასწრო და B ჯგუფში მეორე ადგილზე აღზევდა. თავად „მაკაბი“ კი შინ ოვერტაიმში დამარცხდა მალაგის „უნიკახასთან“, რაც იუგოსლავიის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაყოჩაღევი მილან გუროვიჩის ნახელავია. მსოფლიოს ჩემპიონმა ჯერ დამატებით დროში გადაიყვანა მატჩი: ძირითადი დროის დასრულებამდე 24 წამით ადრე 2 ქულით ჩამორჩენილ „უნიკახას“ ხსნა კაბეზასმა გადაწყვიტა, მაგრამ სამქულიანი გაუცუდდა. ფარქვეშ ჩასაფრებულმა გუროვიჩმა კი კაბეზასის აცდენილი მოხსნა და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. იქაც სერბის ბოლო წამებზე ჩაგდებულით იხეირეს მალაგელებმა, ოღონდ ამჯერად გუროვიჩის ქულებმა გამარჯვებულის ვინაობა გაარკვია.



ბენეტონელი მარსელო ნიკოლა ცხვირს უფრთხილდება

მესამე ოვერტაიმი კი საბერძნეთში იყო. ათენში A ჯგუფის ორი მაჩანჩალა შეხვდა ერთმანეთს და გერმანულმა „ალბამ“ აეკ-ი მაჩანჩალადვე დატოვა. ბერძენმა მიხალის კაკიუზისმა კი მოახერხა თამაშის დამატებით დროში გადაყვანა, მაგრამ იქ უკვე გადამწყვეტი ბურთი ვერ ჩააგდო პეტარ ანტიჩმა და ბერლინელებმა პირველი საევროლიგო გამარჯვება იზეიმეს.

აეკ-ი მაჩანჩალაა, მაგრამ მასზე უფრო საცოდავად წარმოაჩინა თავი კიდევ ერთმა ბერძნულმა კლუბმა, ნაგრანდალმა „ოლიმპიაკოსმა“. პირეოსს ბელგრადის „პარტიზანი“ ეწვია, რომელმაც არც გამარჯვების გემო იცოდა და ყველა მატჩიც სამარცხვინო სხვაობით წააგო. იუგოსლაველთაგან საუკეთესო მილოშ ვუიანიჩი იყო, მაგრამ გამარჯვება ნენად ჩანაკმა უძღვნა „პარტიზანებს“. მისმა სირენასთან ერთად ჩაგდებულმა სამქულიანმა მაყურებელი შოკში ჩააგდო, „ოლიმპიაკოსი“ კი ცხრილის ფსკერისკენ მოისროლა.

აქვე ვთქვათ მესამე და დაუძლურებულ ბერძნულ კლუბზეც. წინა ევროლიგაში „პანათინაიკოსმა“ ყველას გადაუარა და ბებერი კონტინენტის საუკეთესო გუნდი გახდა, ახლა კი ოთხ შეხვედრაში უკვე მეორედ წააგო. ჩემპიონი სიენაში დამარცხდა, იტალიურ გუნდს არაიტალიელები წაადგნენ: ტომით მაკედონიელი ვრბიცა სტეფანოვი და თურქი მირსად თურქჯანი ყველაზე გამორჩეულნი იყვნენ სიენელთაგან — მაკედონიელმა 20 ქულა ჩააგდო, თურქმა 16 ბურთი მოხსნა.

ბოლოს ორ ქართველზე: „ბენეტონმა“ შინ მოუგო „ციბონას“ და მანუჩარ მარკოიშვილს ამჯერად არ უთამაშია. „ულქერს“ კი მადრიდში ცოტა დააკლდა „რეალის“ დამარცხებამდე, ბოლომდე ვერ ივარგა. ზაზა ფაჩულია 6 წუთში 1 ქულითა და ამდენივე მოხსნით შეეწია სტამბოლელებს.

**ირაკლი ბერტაია**

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 30-31 ოქტომბერი

### A ჯგუფი

**ბენეტონი 96:82 ციბონა**

ბენეტონი: გარბახოსა (20), ნიკოლა (19), იდენი (18)

ციბონა: პრკაჩინი (26), კუში (16)

**აეკ 87:88 ალბა**

(ძირითადი დრო 78:78)

აეკ: კაკიუზისი (19), რილი (17), ბეტსი (17)

ალბა: კოლინზი (19), სტანოევიჩი (17), ლოლისი (15)

**პო ორტეზი 75:71 სკიპერი**

პო ორტეზი: სელერსი (16), ლუკოვსკი (14)

სკიპერი: კოვაჩიჩი (28), ბარტონი (14)

**ეფესი 91:92 ბარსელონა**

(ძირითადი დრო 73:73)

ეფესი: კამბალა (41), ბრაუნი (17), გოლემაცი (12)

ბარსელონა: იასიკევიჩუსი (17), ბოდიროგა (16), ფუჩკა (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 4 | 0 | +47 | 8 |
| ბენეტონი | 4 | 3 | 1 | +37 | 7 |
| ეფესი | 4 | 2 | 2 | +13 | 6 |
| ციბონა | 4 | 2 | 2 | +5 | 6 |
| სკიპერი | 4 | 2 | 2 | -8 | 6 |
| პო ორტეზი | 4 | 2 | 2 | -35 | 6 |
| ალბა | 4 | 1 | 3 | -33 | 5 |
| აეკ | 4 | 0 | 4 | -26 | 4 |

### B ჯგუფი

**ჟალგირისი 73:81 ოლიმპია**

ჟალგირისი: ეინიკისი (14), შტომბერგასი (13), დავიდი (13)

ოლიმპია: პუკიჩი (16), შტელმახერსი (15), ბოისა (28 წუთი, 9 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი)

**სიენა 77:69 პანათინაიკოსი**

სიენა: სტეფანოვი (20), თურქჯანი (19), ვუკჩევიჩი (14)

პანათინაიკოსი: ფოცისი (17), მიდლტონი (17)

**მაკაბი 86:89 უნიკახა**

(ძირითადი დრო 75:75)

მაკაბი: ლიუისი (21), ვუიჩიჩი (18)

უნიკახა: გუროვიჩი (24), ბალოკი (21)

**ბუდუჩნოსტი 71:81 ტაუ**

ბუდუჩნოსტი: ბრაუნი (29), სმილიანიჩი (13)

ტაუ: სკოლა (18), მოტოლა (17), ალენი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 4 | 4 | 0 | +25 | 8 |
| ოლიმპია | 4 | 3 | 1 | +23 | 7 |
| მაკაბი | 4 | 2 | 2 | +30 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 2 | +10 | 6 |
| უნიკახა | 4 | 2 | 2 | +1 | 6 |
| სიენა | 4 | 2 | 2 | -16 | 6 |
| ჟალგირისი | 4 | 1 | 3 | -29 | 5 |
| ბუდუჩნოსტი | 4 | 0 | 4 | -44 | 4 |

### C ჯგუფი

**ვილერბანი 99:87 ცსკა**

ვილერბანი: გალიასი (23), ბონატო (19)

ცსკა: ჰოლდენი (23), სონგაილა (18)

**რეალი 81:77 ულქერი**

რეალი: მუმბრუ (16), დიგბი (13)

ულქერი: ბუკერი (22), ბლერი (15), ფაჩულია (6 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა)

**ოლიმპიაკოსი 78:80 პარტიზანი**

ოლიმპიაკოსი: დე მიგელი (23), ჯონსონი (18), ტომიჩი (12)

პარტიზანი: ვუიანიჩი (25), ოსტოიჩი (18), ჩანაკი (11)

**კინდერი 86:70 შლიონსკი**

კინდერი: ბელი (18), დიალი (12)

შლიონსკი: ადომაიტისი (12), ჰოლკომბი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 3 | 1 | +34 | 7 |
| კინდერი | 4 | 3 | 1 | +33 | 7 |
| ვილერბანი | 4 | 3 | 1 | +21 | 7 |
| ულქერი | 4 | 2 | 2 | +1 | 6 |
| რეალი | 4 | 2 | 2 | -6 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 3 | +4 | 5 |
| შლიონსკი | 4 | 1 | 3 | -36 | 5 |
| პარტიზანი | 4 | 1 | 3 | -51 | 5 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ღვთისრისხვა ბოსტონს

## ეე, თქვე კანადელებო, მიხედეთ ჰოკეის!



ნეტავ კარგახანს გაჰყვეს სიბრაზე მაიკლ ჯორდანს

REUTERS

1 ნოემბერი

**საკრამენტო 100:72 პორტლენდი**

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (26), ჯექსონი (20), თურქოღლუ (16), დივაცი (13)

**პორტლენდი:** ვოლესი (24), ველსი (11)

**ვაშინგტონი 114:69 ბოსტონი**

**ვაშინგტონი:** სტეკჰაუზი (22 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ჯორდანი (21), ბრაუნი (20)

**ბოსტონი:** პირსი (12), უოლკერი (12)

**ატლანტა 105:98 იუტა**

**ატლანტა:** რობინსონი (30), ტერი (21 ქულა, 13 პასი), აბდულ-რაჰიმი (17)

**იუტა:** მელოუნი (20), ჰარპრინგი (19), კოლინზი (18), სტოქტონი (15 ქულა, 11 პასი)

ნბა-სთან ერთად დაარსებულ „ბოსტონ სელტიქსს“ 56-წლიანი ისტორიის განმავლობაში სხვაზე მეტი ოქრო მოუხვეჭია. ჩავარდნებიც ჰქონიათ „კალიებს“ და ღლევანდელზე გაცილებით უიმედოდაც ყოფილან, მაგრამ ბედისწერამ ასე ინება, ისინი არასდროს დამარცხებულან ასე სამარცხვინოდ 9 როგორც ამ ორი დღის წინ და ვინ გაუსწორდა ასე სასტიკად აღმოსავლეთის ერთ-ერთ ფავორიტს? ჩვენც გაგვიჭირდა ამის დაჯერება და, „ვაშინგტონ ვიზარდსი“.

„ვიზარდსი“ ღმერთკაც მაიკლ ჯორდანის გუნდია. სიბერეშეპარულ მაიკლს კი სეზონის სადებიუტო მატჩმა უმწიკვლო რეპუტაცია შეუბღალა. ტორონტოში ფართან მარტო დარჩენილმა ჯორდანმა ბურთის ჩატენვა ვერ მოახერხა და, ქვეყნიერება ამასაც მოესწრო — კალათბურთის ღმერთს დასცინეს, თან ვინ, კანადელებმა, რომლებზეც ჯორდანის თანამემამულეები ყველა ხელსაყრელი შემთხვევისას ქირქილებენ. მაგრამ გამორიცხულია, ჯორდანი ისევე ვერ შეეგუება სიბერეს, როგორც დამარცხებას და ამ ხუთშაბათს ყველას შეახსენა — ვინ ვინაა!

იგი პირველ მეოთხედში შევიდა შეცვლაზე და შეუდგა იმ საქმეს, რომელიც მისთვის არასდროს ყოფილა მხოლოდ ქულების ჩაგდება. ის უდიდესი გუნდური მოთამაშეა, მით უმეტეს, კარიერის გვიან ეპოქაში. ახლაც საზარელი მიზანმიმართულებით შეუდგა მეტოქისთვის საძირკვლის მორღვევასა და მოწადინებულ ახალთაობელებთან ერთად ეს პირველივე ნახევარში საოცრად იოლად შეძლო. მასპინძელთა დაცვამ თავიდანვე აურია გზა-კვალი სტუმარ შემტევებს და ყველაზე უფრო თვით პოლ პირსს, „ბოსტონის“ თანამედროვეობის გმირს. პირსი არ უთმობდა მოხუც ოპონენტს და რაც უფრო მეტს ცდილობდა მისი მარწუხებისგან თავდაღწევას, მით უფრო იხლართებოდა ქსელში და ისე ქნა, მთელი გუნდი იქ გააბა. პირსმა ჩააგდო 12 ქულა, მაინც ყველაზე მეტი თავისიანთაგან, მაგრამ, სამაგიეროდ, 16 სროლიდან 13 მეტოქეს აჩუქა, სწორედ ამდენი აკლდა და რაკი ფარზე „ვიზარდსი“ მძლავრობდა, „სელტიქსი“ შეტევაში შეიზღუდა.

ამ დროს კი მაიკლი აუღელვებლად მიაქროლებდა თავისიანებს წინ. მან ტაიმის ბოლოს ზედიზედ ოთხი ქულა ჩააგდო და დიდ შესვენებაზე „ბოსტონი“ 40:58 ჩამორჩენით გაუშვა. არც მერე დაადგათ ხეირი სტუმრებს. ჯორდანი მესამე მეოთხედის ბოლოსაც აფეთქდა, ზედიზედ ექვს ქულას გამოვიდა და მასპინძელთა უპირატესობამ 25 ქულას მიაღწია. ამდენად ჯორდანს 21 ნათამაშებ წუთში 21 ქულა დაუგროვდა.

მაიკლი აღარ გამოჩენილა ბოლო მეოთხედში, ნირწამხდარ სტუმართა რბევა ახალგაზრდებს დაუთმო და მათაც ასაკის შესაფერისი გულმოდგინებით დაასრულეს უფროსი მეგობრის დაწყებული საქმე. შარშანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა, 20 წლის კვეიმ ბრაუნმა, ვისაც პირველ პროფესიულ სეზონში უხეირო ბურთაობის გამო პრესამ კრიტიკის ხანძარი შეუნთო, ახლა ვინძლო თავისი თავი იპოვა და ოლსტარელ ანტუან უოლკერის წინააღმდეგ თამაშში 20 ქულასთან ერთად ექვსი მოხსნა და ექვსი დაფარება გააზერხა. 12 ქულა გაიღო ახალბედა ჯარედ ჯეფრისმა. „ვაშინგტონის“ მწვრთნელ დუგ კოლინზს ხალხი კიდევ ერთი ახალბედას, ხუან დიქსონის შეყვანას სთხოვდა. დიქსონმა წლეულს, გაზაფხულზე, მერილენდის უნივერსიტეტი გააჩემპიონა სტუდენტურ ჩემპიონატში, მერილენდი კი ვაშინგტონის მეზობელია და დიქსონს დედაქალაქში უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. კოლინზმა ეს ყმაწვილი მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე შეუშვა და დიქსონმაც „ბოსტონის“ განადგურებაში 6-ქულიანი წილი დაიდო. საბოლოოდ, ახალგაზრდა მასპინძლებმა „ბოსტონს“ ბოლო მეოთხედი 29:9 მოუგეს და უკანასკნელი ლურსმანი ჩააჭედეს მის კუბოში.

„გაოცებული ვარ, „ბოსტონის“ ძლევა, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, მაგრამ მე მილიონი წელი ვერ ვიოცნებებდი ამგვარზე. დღეს დილით საუზმისას ცოლს ვუთხარი, იმედი მაქვს, 70 ქულას ჩავაგდებთ, ბოლო-ბოლო, წინა მარცხის შემდეგ ცოტა აზრზე მოვალმეთქი, მაგრამ ეს სულ სხვაა“ — გაოცებას ვერ მალავდა დუგ კოლინზი.

„ბოსტონის“ 45-ქულიანმა მარცხმა არა მარტო კოლინზი გააოცა. ალბათ, არც არავინ ელოდა ასეთ შედეგს ერთი კაცის გარდა. „კარგია, ჩვენ ეს შევძელით, მოვიგეთ. იმედი მაქვს, ამ სეზონში ამას ასე, 55-ჯერ მაინც მოვახერხებთ“ — ამას უკვე ჯორდანი ამბობს, კალათბურთის ბებერი შემოქმედი, რომელიც დრომ სათადარიგოთა სკამზე დასვა, მაგრამ ვერ დაავიწყა ის, რაშიც პირველია და იქნება მანამ, სანამ ბურთი ხელიდან არ გაუვარდება.

იმ დღეს მარტო ჯორდანიანებმა როდი გაანადგურეს მეტოქე. არანაკლები რეზონანსი მოჰყვა ხალხნაკლული „საკრამენტოსაგან“ მსუქანი „პორტლენდის“ გაზედნას. ყველამ იცის „საკრამენტოს“ ძალა. ეს გუნდი ძლიერია მაიკ ბიბის გარეშე, ეს გუნდი არანაკლებ ძლიერია მაიკ ბიბისა და დუგ კრისტის გარეშე და ახლა ირკვევა, რომ ასევე ძლიერია მაიკ ბიბის, დუგ კრისტისა და კრის ვებერის გარეშეც. ვებერის ყოფნა-არყოფნა იმ დღეს ვერაფერს შეცვლიდა, რადგან „პორტლენდი“, რომელსაც ყოველ პოზიციაზე ორი-სამი ვარსკვლავი მოეძევება, იმ დღეს განწირული იყო თავის ვარსკვლავებიანად. უამერიკელებო „საკრამენტოში“ ევროპელებმა გაილაღეს. სტოიაკოვიჩს, დივაცსა და თურქოღლუს ბიბის სათადარიგო კაცი ბობი ჯექსონი მიეხმარა და მეფეებმა სტუმრები გააშავეს.

მძიმედ დაიწყო სეზონი „იუტა ჯაზმა“ და აგერ, მეორედაც წააგო. სოლტლეიკელთა მძლეველ ატლანტელ „ქორებს“ კი პროგრესი დასტყობიათ. უთუოდ მოუხდათ დაჩაჩანაკებული ტონი კუკოჩის ნაცვლად „მილუოკიდან“ სისხლსავსე გლენ რობინსონის გადმოყვანა. მეგობრებში „დიდ ძაღლად“ სახელდებულმა რობინსონმა ისე კარგად ითამაშა, თავადაც გაუკვირდა. ბებრული „ჯაზი“ 30 ქულით ჩააჩუმა და ნამატჩევს თავად ალაპარაკდა — რვა წელია, ნბა-ში ვარ და ასე კარგად არასდროს დამიწყია, ჩვეულებრივ, გახურება მჭირდებაო.

არანაკლები ქების ღირსია „დიდი ძაღლის“ პატარა თანაგუნდელი, 188-სანტიმეტრიანი ჯეისონ ტერი. „ატლანტას“ კვლავ აწუხებს კვალიფიციური გამთამაშებლის პრობლემა. ამიტომ მწვრთნელმა ლონ კრუგერმა ამ პოზიციაზე გადასწია ნომინალური მსროლელი ჯეისონ ტერი. ამანაც მშვენივრად გაართვა საქმეს თავი, 21 ქულასთან ერთად კარიერაში უმეტეს, 13 პასსაც გამოვიდა და კაცი ვერ იტყვის, რომ სახელოვან ოპონენტს, 40 წლის ჯონ სტოქტონს თამაშში რამეში ჩამორჩა.

**კოტე ყორშია**



NHL რეგულარული ჩემპიონატი

# დაჭრილი მწვრთნელი დათვზე შარმსია



კალგარის მეკარე რომან ტურეკს თავისიანი ჯორდან ლეოპოლდიც ზედ დაეცა და ბუფალოელი რობ რეიც

REUTERS

31 ოქტომბერი

**ტორონტო 3:3 ატლანტა 1:1 1:1 1:1 0:0**

**1:0 სუნდინი (7), 1:1 ჰიტლი (18), 1:2 ტრამბლე (24), 2:2 გრინი (32), 3:2 დომი (47), 3:3 შტეფანი (56)**

კაცი რომ უფსკრულის პირას აღმოჩნდება, რას არ იზამს თავის გადასარჩენად. ატლანტამ საშინლად დაიწყო ეს სეზონი და აი, 9 მატჩის შემდეგ გუნდის თავკაც კურტ ფრეზერის გადაღგომაზე ალაპარაკდნენ. კედელთან მიმწყვდეული მწვრთნელი, ცხადია, გამოსავალს ეძებს და ტორონტოსთან მატჩში რადიკალურ ზომებსაც მიმართა, თადარიგში სამი ძირითადი მოთამაშე დატოვა — მეკარე მილან ჰნილიჩკა, მცველი რიჩარდ შმეჰლიკი და ფორვარდი ილია კოვალჩუკი. განსაკუთრებული აჟიოტაჟი რუსის დაჩაგვრას მოჰყვა რადგან კოვალჩუკმა სეზონი საკმაოდ შედეგიანად დაიწყო. ფრეზერმა დაინტერესებულ ჟურნალისტებს დიპლომატიურად უპასუხა, ტრავმა ეს-ესაა მოირჩინა და დასვენების საშუალება მივეციო. არადა, ეს სიტუაცია შეიძლება მალე კონფლიქტში გადაიზარდოს, ცხადია, კოვალჩუკის ინიციატივით. ფაქტი კი ფაქტად რჩება, ატლანტამ ლიდერების გარეშე სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და პირველი სრულფასოვანი ქულა (მანამდე ერთი ქულა ოვერტაიმში წვალებით დაიმსახურა) მოიპოვა.

**ბოსტონი 1:4 ანაჰაიმი 0:0 1:3 0:1**

**0:1 კარია (27), 1:1 შტუმპელი (27), 1:2 კალენი (33), 1:3 კარია (36), 1:4 კარია (60)**

**მინესოტა 2:1 სან ხოსე 0:0 0:1 1:0 1:0**

**0:1 შტურმი (31), 1:1 ჟოლტოკი (48), 2:1 ჟოლტოკი (65)**

მინესოტამ თავისთვის ისტორიული თვე ისტორიული გამარჯვებით დაასრულა. ზედიზედ მეორე საოვერტაიმო მოგების წყალობით „უაილდს“ 11 თამაშში 18 ქულა დაუგროვდა, რაც კლუბის ერთთვიური რეკორდია.

**ფილადელფია 6:2 ფინიქსი 1:0 2:2 3:0**

**1:0 დესარდენი (3), 1:1 რადივოევიჩი (24), 1:2 დოუნი (26), 2:2 იუნსონი (31), 3:2 პანდზუში (33), 4:2 რეკი (41), 5:2 ზაიდენბერგი (42), 6:2 რენიკი (56)**

**ჩიკაგო 2:1 ლოს ანჯელესი**

**0:0 0:1 1:0 1:0**

**0:1 მოდრი (28), 1:1 არნასონი (60), 2:1 მოუსლი (62)**

**კალგარი 3:0 ბუფალო 2:0 1:0 0:0**

**1:0 იგინლა (1), 2:0 ლუდმანი (11), 3:0 დრური (38)**

**ვანკუვერი 1:5 კოლორადო 0:2 1:2 0:1**

**0:1 საკიკი (1), 0:2 ჰაინოტი (16), 0:3 დრუტი (25), 0:4 ბლეიკი (30), 1:4 ალენი (37), 1:5 საკიკი (44)**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 10 | 7 | 2 | 0 | 1 | 40:21 | 16 |
| პიტსბურგი | 10 | 6 | 2 | 0 | 2 | 35:30 | 14 |
| ნიუ ჯერსი | 8 | 6 | 0 | 0 | 2 | 19:13 | 12 |
| რეინჯერსი | 12 | 4 | 2 | 0 | 6 | 28:41 | 10 |
| აილენდერსი | 10 | 3 | 1 | 0 | 6 | 26:37 | 7 |
| **ჩრდილო აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 10 | 6 | 2 | 0 | 2 | 34:27 | 14 |
| მონრეალი | 9 | 3 | 3 | 0 | 3 | 24:31 | 9 |
| ბუფალო | 10 | 3 | 2 | 0 | 5 | 23:24 | 8 |
| ტორონტო | 11 | 3 | 2 | 0 | 6 | 35:34 | 8 |
| ოტავა | 8 | 3 | 1 | 0 | 4 | 16:18 | 7 |
| **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 10 | 7 | 2 | 0 | 1 | 39:24 | 16 |
| კაროლინა | 11 | 5 | 1 | 1 | 4 | 26:28 | 12 |
| ფლორიდა | 11 | 4 | 1 | 1 | 5 | 26:37 | 10 |
| ვაშინგტონი | 10 | 4 | 1 | 0 | 5 | 21:29 | 9 |
| ატლანტა | 10 | 0 | 1 | 1 | 8 | 27:42 | 2 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 8 | 6 | 1 | 0 | 1 | 32:15 | 13 |
| დეტროიტი | 10 | 6 | 1 | 0 | 3 | 37:25 | 13 |
| ჩიკაგო | 9 | 5 | 1 | 0 | 3 | 23:19 | 11 |
| კოლუმბუსი | 9 | 3 | 1 | 0 | 5 | 24:27 | 7 |
| ნეშვილი | 9 | 1 | 1 | 2 | 5 | 18:29 | 5 |
| **ჩრდილო დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 11 | 8 | 2 | 0 | 1 | 38:22 | 18 |
| კოლორადო | 10 | 4 | 3 | 2 | 1 | 27:20 | 13 |
| ვანკუვერი | 11 | 3 | 4 | 0 | 4 | 27:30 | 10 |
| კალგარი | 10 | 3 | 2 | 2 | 3 | 27:30 | 10 |
| ედმონტონი | 9 | 2 | 2 | 1 | 4 | 22:27 | 7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 11 | 6 | 2 | 1 | 2 | 35:25 | 15 |
| ლოს ანჯელესი | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 29:23 | 13 |
| ფინიქსი | 12 | 4 | 0 | 1 | 7 | 26:41 | 9 |
| ანაჰაიმი | 11 | 3 | 3 | 0 | 5 | 28:33 | 9 |
| სან ხოსე | 10 | 3 | 0 | 1 | 6 | 25:35 | 7 |

# მეკარეები კარში ვეღარ ეტევიან მარიო ლემიეს რეფორმები გაუტკბა

**ამაზეა ნათქვამი,** მადა ჭამაში მოდისო. პიტსბურგის ლიდერი მარიო ლემიე ლიგაში ახალი, გამკაცრებული წესების შემოღების ერთ-ერთი თაოსანი იყო და ახლა შედეგსაც იმკის — გაცილებით ხშირად უწევს რიცხვმრავლობაში თამაში, სადაც სუპერმარიო შეუდარებელია. მთელმა ლიგამაც ამოისუნთქა, გოლებიც მეტი გადის და თამაშიც უფრო შინაარსიანი გახდა. ახლა კი ლემიე მეკარეთა ამუნაციის ზოგიერთი ნაწილის, კერძოდ, ფეხებისა და ხელების საფარის ზომების შემცირებას ითხოვს. „ზოგჯერ მეკარის პირისპირ რომ ვრჩები, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ის პრაქტიკულად მთელ კარს ფარავს და აღარ ვიცი, ეს ერთი ბეწო შაიბა სად გავუძვრინო“ — ამბობს მარიო და ძნელია, არ დაეთანხმო. 80-90-იან წლებში მეკარეები თავის დასაცავად იმხელა რამე-რუმეებით იმიტომ ალიკაზმნენ, რომ ფორვარდებს მაქსიმალურად გართულებოდათ საქმე. მაგალითად, თავის დროზე გარტ სნოუ (იგი ახლაც თამაშობს) იმხელა გახდა, კარის სისქე ჩანდა, თუმც შემდეგ აუკრძალეს ამის გაკეთება.

**სამველ ლარიბიანი**

# ლუის ვუტონი და ამერიგო ვესპუჩი


REUTERS ფოტოქრონიკა

შვეიცარიული ეკიპაჟი „ალინგი“ ოკლენდის ჰაურაკის ყურეში გვერდით მიცურავს იტალიურ სასწავლო გემ „ამერიგო ვესპუჩის“, რომელიც იმავ ყურეში წვრთნის თავის კურსანტებს. „ალინგი“ კი ცხრათაგან ერთი გუნდია, ლუის ვუტონის თასისთვის რომ იბრძვის 1 ოქტომბრიდან. ამ თასის მომგები გუნდი ამერიკის თასზე გაას თებერვალში იბრძოლებს.

## ჭახ!

აი, ჰოკეი და მისი ძალისმიერი ილეთი: ბუფალოელი მცველი ჯეი მაკი (74) გამოქანებულ კალგარელ ფორვარდს ჩაკ კობასიუს (7) დაუსხლტა და მოედნის დამცავი შუშაც ჩამოიმტვრა. ასეთს ხშირად ვერ ნახავ.


REUTERS ფოტოქრონიკა


REUTERS ფოტოქრონიკა

## ზამთრის მშვენება

მოახლოვდა ზამთარი და გამოჩნდა ზამთრის სპორტის მშვენება ფიგურული სრიალი. კვებეკში უკვე საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. კანადელები მარი ფრანს დუბრეიდი და პატრის ლოზანი ხალისით ასრულებენ ცეკვას, რომელმაც ისინი მეორე ადგილზე დაამკვიდრა.

## ფეხბურთი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XI ტური

უნიონი 0:0 დუისბურგი
ლიუბეკი 1:3 აინტრახტი
ზანქტ პაული 0:1 ფრაიბურგი
ობერჰაუზენი 2:2 კიოლნი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XV ტური

ესენი 1:0 იურდინგენი

სამხრეთ რეგიონალლიგა
XVII ტური

უნტერჰახინგი 4:0 დარმშტადტი
კიკერსი 0:3 აინტრახტი (ფ)
აალენი 1:0 ნოინკირხენი

### ინგლისი

II დივიზიონი. XVII ტური

მინსფილდი 4:2 კოლჩესტერი

III დივიზიონი. XVII ტური

ჰარტლპული 0:0 იორკი

### თურქეთი

XI ტური

ტრაბზონსპორი 3:0 დიარბაქირი

### შვეიცარია

A ჯგუფი. XVIII ტური

ბაზელი 5:3 ციურიხი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XIII ტური

კანი 1:1 ლე მანი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. X ტური

ზვოლე 5:1 ალკმაარი

II დივიზიონი. X ტური

დენ ჰააგი 1:2 ოსი
ტილბურგი 3:2 კამბური
სპარტა 2:3 ჰერაკლესი
მაასტრიხტი 1:4 ჰელმონდი
სიტარდი 0:0 ემენი
ეინდჰოვენი 1:2 ვოლენდამი
დენ ბოსხი 3:0 ვეენდამი
ვენლო 3:0 ჰაარლემი
დორდრეხტი 1:2 იგლსი

### იტალია

სერია B. X ტური

კალიარი 1:1 ლეჩე
ლივორნო 2:0 ჯენოა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჩიანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვთისო ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge